

10
247

მ. ი. მ. ნ. ე. რ.



1947 მ ა რ ტ ი № 3



კ. ი. ს. ე. რ. ი

საქ. აღკვ ტენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საბავშვო შუახალი

წ ე ლ ი წ ა ღ ი 21-ე

1947

გამომცემლობა „კომუნისტი“

გიორგი შავბერაშვილი

ცხრა ძმის დედა

ჩემ მეზობლად ერთი ოდა
 დგას, გამვლელის თვალს ახარებს,
 ეზო-კარს და კარ-მიდამოს
 მთის ნიავე ალაღანებს.
 იმ ეზოში ბედნიერად
 ცხოვრობს ერთი გმირი ქალი,
 ვერ გაიგებ, ელვა არის,
 ქალია თუ ნაპერწკალი!
 თქვენ გგონიათ ომში იყო,
 მტრის ურდოებს ამარცხებდა?
 არა, აკვნის გმირი არის,
 ცხრა ქართველი ვაჟის დედა!
 ის ხომ აკვნის ოსტატია,
 ქმარს მიანდო ქვეყნის ბედი,
 მარშან ისიც დაუბრუნდა,
 ამოუდგა უმაღ გვერდით.
 მხიარული, ბედნიერი,
 მღერის დედა, აკვნს არწევს,
 შეხსნის არტახს, ამოიყვანს,
 ბავშვს ღიმილით აიტაცებს:
 „თქვენ იხარეთ, გაიზარდეთ,
 გაუცინეთ ია-ვარდებს,
 გაუცინეთ ყაყაჩოებს,
 თავისუფლად ინავარდეთ!
 გაიზარდეთ, დავაჟკაცდით,
 გულს ოცნებად ჩაისახეთ:
 დედათქვენი ასახელეთ,
 როს მამული დაგიძახებთ!“
 ჩურჩულებს და თან ღიმილით
 თმაქორხორებს გადახედავს,
 ოჯახის და აკვნის გმირი,
 ბედნიერი ცხრა ძმის დედა!



სკოლა, ხეხილში ჩამდგარი

მუჰამდ ლეზანიძე

კრემლში უთქვიათ თავკაცებს,
და ხალხმა ვაშად გასტაცა:
„არ დაგვრჩეს აუღმწვანებლად
მიწა, თუნდ ნაბღის გამლაცა!“
გუგუნებს დიდი ხუთწლელი,
მშობელი მიწა გუგუნებს...
მშობელი მიწა თქვენც გიხმობთ —
ჭაბუკებსა და გოგონებს!


ჰეი, თქვენ, სოფლის ბავშვებო,
უფრო — ქალაქის ბავშვებო,
ფრიალა ყელსახვევებით
გოგონებო და ვაჟებო,
გინახავთ?! მარტის გასულსა,
შორს რომ დარჩება ზამთარი,
რა ტკბილი სანახავია
სკოლა, ხეხილში ჩამდგარი!

თბილისში ერთი სკოლაა,
ჩემთვის ნაცნობი სკოლაა,
სკოლა კი არა — სიცოცხლის
მეუწყვეტელი ქროლაა;
სარკმლებთან დგანან მერხები,
მერხიდან ჩანან ნერგები —
ნერგები ატმის, გარგლისა,
მსხლისა და ვაშლისხვების,

და მათ ქვეშ ჩამწკრივებულან
პატარა მებაღეები...

თურმე ის მებაღეები
ასე ამბობენ ღიმილით:
— ვინც შრომობს, ღზენაც მისია,
ჩვენ სწავლაც გვიყვარს ხილივით!
...წრეულსაც გაიკვირტება,
გაისსაც გაიკვირტება,
და მერმისს ფერად-ფერადი
ალმასით დაიტვირთება...

ჰეი, თქვენ, ყველა ბავშვებო,
ქალაქისა და სოფლისა,
გუგუნებს მიწა მშობელი,
გესმათ ძახილი მშობლისა!
თქვენ უნდა ააყვავილოთ
უპირველესად ყოვლისა
და ხეხილნარის ხავერდში
ჩასდგათ შენობა სკოლისა.
და ყოველ მარტის გასულსა
შორს გაფრინდება ზამთარი...
რა ტკბილი სანახავია
სკოლა, ხეხილში ჩამდგარი.



4338



ერთხელ გაზაფხულის დამდეგს, ვარდის-ფურცლობის დროს ქვემო იმერეთისკენ გავ-წიე, ჩემს სოფელს მივაშურე და მეზობლები ვინახულე. სტუმრად მოხუცებულ ლაზარეს-თანაც ვიყავი. იგი სინარულითაც და საყვე-ღურითაც მეუბნებოდა:

— შვილო, დავაქაცებულხარ... გავიგეთ, მასწავლებელი უნდა გახდე თურმე, უმაღ-ლესი სკოლა დავიმთავრებია. მაგრამ აქამ-დის სად იყავ, რატომ არ გვესტუმრე? დავა-ვიწყდა განა, მდინარეში ანკესით რომ თე-ვებს იჭერდი? არ ვარგა ეგრე. მოდი ცოტა-ხანს აქ დარჩი და იმასწავლებლე. კაი სკოლა გვაქვს. ბავშვები? ბავშვებს ნულა იკითხავ, ძალიან ჭკვიანები არიან. ჩემმა შვილიშვილ-მა ისეთი რამეები იცის, რომ ამ ხნის კაცი გაეხდი და მე არ ვიცოდი. აი, ნახავ, რა ცო-ცხალი ყმაწვილებია ჩვენს სოფელში!

შორიდან ყივილი-ხივილი მომესმა. ვაკვე-თილები დამთავრებულიყო და მოსწავლეები „რეშაორერას“ სიმღერით შინ ბრუნდებოდ-ნენ.

ლაზარემ ფართო თეთრ წვერზე ჩამოი-სვა ხელი და ღიმილით მომმართა:

— შეხედე, შეხედე! ჩემი შვილიშვილია, მოდის და მოუხარია. გივი ჰქვია. როგორ მო-გწონს, ჰა? შოლტივით ბიჭია... დიდი, დიდი მოუსვენარი ვინმეა, მაგრამ კაი ბიჭია.

ამ დროს ღობეზე შეავთვალა ყმაწვილი გადმოვიდა და მე რომ დამინახა, ნაბიჯი შეანელა. ჩვენ ბებერი მუხის ქვეშ ბრტყელ ქვაზე ვისხედით და თავი ყმაწვილისაკენ მი-ვიბრუნეთ.

— აქ მოდი, შვილო, აქ! რა კაციც ხარ ახ-ლა გავიგებ! ერთი შენი თავი გამოვაცდევინ-ო ამ ჩვენს მასწავლებელს და მერე ვილა-პარაკოთ.

გივი მოვიდა და მორიდებულად მოგვე-სალმა. ვცადე გამოლაპარაკება, მაგრამ დაირ-ცხვინა და ჩემს შეკითხვებზე ძუნწად მამ-ლევდა პასუხს. ჯიბიდან სრულიად უხმარი

უბის წიგნაკი ამოვიღე, გივის საჩუქრად გა-ვუწოდე.

— ახლოს მოდი,—უთხრა ლაზარემ შვი-ლიშვილს,—ვითომდა ასე პატიოსანი კაცი ხარ, ჰა? შე ეშმაკო, შენა! აბა, ერთი მითხა-რი, ჩემი ფაფანაკი რა უყავ?

ამ სიტყვებზე გამეცინა და ყმაწვილს ვკი-თხე:

— რად გინდოდა, გივი, ფაფანაკი? მაგას წინათ იხურავდნენ თავზე ჩვენი ძველები. ალბათ, წარმოდგენა თუ გამართეთ და ძვე-ლებურ ტანსაცმელში გამოაწყეთ ვინმე. ხომ ასეა?

— არა, სკოლაში დაგვჭირდა და იქ მივი-ტანე.

პასუხმა გამაოცა, მაგრამ აღარ ჩავციები-ვარ, რად უნდა დასჭირებოდათ სკოლაში ფაფანაკი.

— უცნაური ბავშვია,—თქვა ლაზარემ — მე ხომ ფაფანაკი მომტაცა და მომტაცა, ახ-ლა კიდევ ბიძას შეუთვალა, დუშეთშია ექი-მად, თუ გიყვარდე, რომ წამოხვიდე, თუშუ-რი ქული წამომიღო.

კიდევ ბევრი ვილაპარაკეთ და ბევრიც ვი-ცინეთ. შეუმჩნევლად დაღამებულიყო.

ის დამე ჩემს ტკბილ მასპინძლებთან გავა-ტარე. გივი შემეჩვია და თავისი სკოლის ამ-ბები მითხრა. მერვე კლასში ყოფილა და სწავლით თავი უსახელებია. რამდენიმე ქე-ბის სიგელი ჰქონდა მიღებული. ყველა მაჩ-ვენა და თითქოს თვალებით მეუბნებოდა:

— ეს რაა, შემდეგ ვნახოთ, ოქროს მედალ-ზე უნდა დავამთავროო. წასვლისას ლა-ზარეს ვუთხარი, შემოდგომიდან შეიძლება ჩვენი სოფლის სკოლაში დავიწყო მასწავ-ლებლობა მეთქი. დავემშვიდობე და გავუ-დექი გზას.

ვთქვი და შევასრულე კიდევც. სექტემბერ-ში პირველი ხარი რომ დაირეკა, მას შემდეგ ვაკვეთილებს ვატარებ ბავშვებთან. ცოც-ხლად და სიყვარულით მუშაობდნენ მასწავ-

ლებლები. თავისუფალ დროს ყმაწვილებს წრეებში ამეცადინებდნენ. სკოლაში ცალკე ოთახი გამოეყოთ და მასწავლებელთა მითითებით ბავშვებს მოეგროვებინათ სხვადასხვა ნივთები. მშვენიერ ალბომში მოეთავსებინათ გეოგრაფიული აღწერილობანი და წაკითხული მოხსენებები. ერთ პატარა ყუთში შენახული ჰქონდათ ორი ცალი ძველი ქართული ფული. ფანჯრის ახლოს კი ნამდვილი ეთნოგრაფიული კუთხე იყო მოწყობილი: მესანიშნავად დაეხატათ ქართველთა ტიპები, შეეგროვებინათ და კედელზე ჩამოეკიდათ ძველებური ტანსაცმლის ნიმუშები: თეთრი ფაფანაკი (ეს, უეჭველია, ლაზარეს ფაფანაკი იყო!), ლამაზი ბალთით შემკული ქამარი, ქალის თავმორთულობა და საუცხოოდ ნაქარგი თავსაფარი. მაგიდაზე იდვა ყლარუნებშებმული დაირა, ლერწმის სალამური და სადღაც გაჭირვებით ნამოვნი რაჭული გუდასტვირი.

ბავშვებს ძალიან მოსწონდათ ეს ოთახი და მას „სახელმწიფო მუზეუმს“ ეძახდნენ.

წრეში დიდ მონაწილეობას იღებდნენ გივი და მისი ამხანაგი თენგიზი. ყოველნაირად ცდილობდნენ გაემდიდრებინათ ნივთებით ისტორიისა და გეოგრაფიული წრის სამეცადინო ოთახი და გამოეკვლიათ ახლომანხო არსებული სიძველეები.

ბიძია გიორგიმ გივის თუშური ქუდი გამოუგზავნა. ეს ქუდი ექიმს დუშეთში გამოსულ ადგილობრივ გაზეთში გაეხვია. პატარა ზომის გაზეთი ძველი იყო, ივლისში დაბეჭ-

დილი. გივიმ ჯერ ქუდი ატრიალა ხელში, დიდხანს უცქირა და ბოლოს სკოლაში წასაღებად გაამზადა. მერე გაზეთს დაუწყობდა ხეა და მეოთხე გვერდზე გაოცებით ამოკითხა: „ამ რამდენიმე დღის წინათ სოფელ კლდისის საშუალო სკოლის მოსწავლემ გოგოთურ ცისკარაულმა მარჯვე სროლით იფინისხევეში დათვი მოკლა. ნორჩ მონადირეს ორი კვირის წინ მოუკლავს აგრეთვე ძუ მგელი. ცისკარაული მონადირეთა კავშირმა დააჯილდოვა“.

გივი სულმოუთქმელად გაიქცა სკოლისაკენ და თენგიზს ეძებდა. როგორც იქნა მონახა და გაზეთი მისცა.

— წაიკითხე, ბიჭო, წაიკითხე! ვილაც გოგოთურს დათვი მოუკლავს!

— გოგოთურიც მოკლავს დათვს და მურზაყანიც. რა ძალიან გაგკვირებია! — თუბასუხა თენგიზმა.

— მოსწავლემ მოკლა მეთქი დათვი, მოსწავლემ, ჩვენოდენა ბიჭმა! — არ ისვენებდა გივი. თენგიზმა გაზეთი წაიკითხა და მეგობარს ეჭვით შეხედა:

— ტყუილი იქნება, დაიტრახახებდა, ვილაცაა ის უენი გოგოთური, და ვინმეს მართალი ეგონებოდა.

— მაგის გაგება ადვილია.

— როგორ? — შეეკითხა თენგიზი.

— როგორ და ასე: ავდგეთ და წერილი გავგზავნოთ კლდისის საშუალო სკოლაში დირექტორის სახელზე. წერილში კიდევ წერილი ჩავდვათ და გოგოთურს ვთხოვოთ გვაცნობოს, მართლა მოკლა დათვი თუ არა. ჩვენი ამბავიც მივწეროთ.

ბავშვები ასეც მოიქცნენ.

* * *


დეკემბერი მიიწურა. მოსწავლეები დაითხოვეს, მაგრამ ისინი არდადეგებზე განაგრძობდნენ წრეში მუშაობას.

4 იანვარს მოსწავლეები თავიანთ საყვარელ ოთახში შეიკრიბნენ. შემდგომი მუშაობის გეგმას იხილავდნენ. მე და ისტორიის მასწავლებელი სიმონიც მოსწავლეებთან ვიყავით, ჩვენი რჩევა-დარიგებით ყმაწვილებს ვეხმარებოდით.

უეცრივ დერეფანში ფეხის ბრახუნი მოგვესმა. გავიხედეთ და ჩვენი ფოსტალიონი ქიტა დავინახეთ.

— ამანათია, ამანათი! — შემოგვძახა ქიტამ და კარგა გრძელი ყუთი იატაკზე დადო.

დირექტორის სახელზე იყო გამოგზავნილი, მაგრამ იქვე მიწერილი ჰქონდა — გადაეცით მოსწავლეებს გივი მთვარაძეს და თენგიზ მგალობლიშვილს.



გივი მოვიდა და მორიდებულად მოგვესალმა.

ამანათი ოთახში შევიტანეთ და, რაკი გვიც და თენგიზიც თანახმა იყვნენ, გავხსენით. გავხსენით და აი რა ამოვალავეთ: დიდი წაბლისფერი დათვის ტყავი, ძველებური ფართო ხანჯალი, რომელსაც რამდენიმე ადგილას კბილი ჰქონდა ჩამტვრეული, ხევისურულად მოჭარბული გულისპირი, ჩაფხუტი და ჯაჭვის პერანგი. იყო კიდევ რაღაც ნივთები, მაგრამ მათთვის ვილას ეცალა, წერილს მოვკარი თვალი და გივის გადავეცით. გვიმ კი მე გადმომიცა წერილი და ყველას ხმამაღლა წავუკითხე:

„ჩემო უცნობო ძმობილნო თენგიზ და გივი! მოგილოცავთ ახალ წელს! თქვენი წერილი მივიღე და ჩემს ძმადნაფიცებსაც წავუკითხე. ტყუილი არ ვიცი, მართლა მოვკალი დათვი. კარგი სანადირო თოფი მაქვს, მიზანშიც კარგად ვიღებ. ჩვენში ნადირი ბევრია—დათვი, ტურა, მგელი, ფოცხვერი, აფთარი. მანუა კაცისათვის ესენი, ამიტომ ყოველთვის ვცდილობთ მოვკლათ. დათვის ტყავს გიგზავნით, ახლა უფრო დამიჯერებთ. ოთახი გქონიათ, ძველ იარაღებს აგროვებთ თურმე. დირექტორმა გვიჩინა თქვენთვის გამოგვეგზავნა ჩვენებური ხანჯალი, ჩაფხუტი და ჯაჭვის პერანგი. ხანჯალს გაუფრთხილდით და შეინახეთ. პაპამ თქვა, საქართველოს ბევრი მტერი მოუსპია ამ ხანჯალსო.

ჩაფხუტს და ჯაჭვის პერანგს ახლა იშვიათად ატარებენ ჩვენში. მოგვეწონა თქვენი საქმიანობა. ჩვენც გადავწყვიტეთ მაგნირი ოთახი აქაც მოვაწყოთ. მეკითხებით, თქვენში ტრაბახი თუ იციანო. არა, არ იციან. თუმცა ხანდახან ზოგიერთი მაინც დაიტრაბახებს ზოლმე, მაგრამ არ შუარჩენენ. ასე მოხდა სწორედ ჩვენს სახლში გუშინ. ფშავიდან ბიძა მესტუმრა დედის მხრივ. ცეცხლის პირას დაესხედით ყმაწვილიც და მოხუციც. იმხიარულეს და ინადიმეს. შემდეგ თორღვამ ფანდურზე დაამღერა:

— ზეპირ გამოვთქვამ ლექსებსა,
წერით არ ვიღო მთავსა,
მაგრამ რით დავუვარდები
რანჯიკმვილსა ვაუასა.

ბიძაჩემს ღიმილი მოერია და მაშინვე მიუღღერა:


— თორღვავ, ამაოდ ნუ სჩემობ
ლექსების გამოთქმასაო,
მელექსე ეგეთი უნდა,
ვაუა რომ ჰყავდა მთასაო.
ვაუკაცურ სიტყვას იტყოდა,
გულს უხარებდა ხალხსაო,
აქუხებდა ლექსებსა,
მალა სწვდებოდა ცასაო,
შენ ვაუაობას ვერ იზამ,
თორღვავ, ნუ იქებ თავსაო!

მართალი თქვა ბიძაჩემმა და ყველამ მოუწონა პასუხი. ვაუა ჩვენი საყვარელი მგლისა-
ნია. კლდისის სკოლა თქვენ ყველას მოვითხოვს გითვლით და საჩუქრად ამ მცირე ნივთებს გიგზავნით.

ზაფხულში ჩვენთან რომ მოხვიდოდეთ, ბევრ საინტერესოს ნახავდით. გაბედეთ და წამოდით, არც ისე შორსა ვართ. არ გაინტერესებთ, ვაუა-ფშაველს სახლიც რომ ნახოთ ჩარგალში?

თქვენი უცნობი გოგოთურ ცისკარაული“.

წერილის კითხვა რომ დავამთავრე, მაშინვე ბავშვებს გადავხედე. მაგრამ ბავშვები სად იყვნენ? ოთახში ყაყაჩოები ამოსულიყო. ისე იყვნენ დაწითლებულნი და თვალგებარე-წყინებულნი, რომ ჩემი თავი ყვავილნარში მეგონა.



ამანათი გავხსენით და ამოვალავეთ: დათვის ტყავი, ძველებური ფართო ხანჯალი...

ცოტა ხნის სიხუმის შემდეგ დიდი ხმაურობა შეიქნა. ვერც გავამტყუნებ ბავშვებს: ეს სიხარულით გამოწვეული ხმაურობა იყო.

— წერილი მივწეროთ გოგოთურს, წერილი! — ყვიროდა ერთი.

— უსათუოდ წავიდეთ, ვაუას სახლი ვნახოთ! — უმატებდა მეორე.

— ამანათი გავუგზავნოთ ცისკარაულს, საჩუქრები მოვუვროვოთ, მხოლოდ რაც შეიძლება ჩქარა, — ამბობდა მესამე. სხვები დაწვრილებით ეკითხებოდნენ გივისა და თენგიზს ამბავს და საჩუქრების სიას ადგენდნენ. გვიანი საღამო იყო, როდესაც დავიშალეთ და სახლებისაკენ წავედით.



პატარა იყო, ფუნთულა, მტრედით
ღულუნებდა. ეს თეთრად გაფუებული ბავ-
შვი შავტუხა გოგო-ბიჭებში ვაკვირებდას
იწვევდა.

— ეს ბავშვი, ალბათ, სულ ბალიშებსა
და ბუმბულებსა გაზრდილი, — ამბობდა
ერთი.

— მზეს არ უნახავს, თორემ ჩვენსავით
დაიწვევებოდა, — მიუგო მეორემ, ხოლო მესა-
მემ, რომელიც წელზევით შიშველი და გა-
რუჯული იყო, ჰკითხა:

— ასეთი თეთრი რომ ხარ, დედაშენი
სულ თეთრ პურს გაჭმევდა?

ბიჭუნამ თავი დაიქნია.

— ახლა ეს მითხარი, შენ სახლს ბომბი
დაეცა და ცეცხლი წაეკიდა?

ბიჭუნამ უცებ მოიწყინა. ცისფერ თვა-
ლებში ცრემლი ჩაუდგა და თავდახრილმა
უპასუხა:

— ჯერ ბომბი დაეცა, შემდეგ დაიწვა.

იმ შავტუხას კიდევ უნდოდა რაღაც ეკით-
ხა, მაგრამ ამხანაგებმა თვალით ანიშნეს, —
დედამისის შესახებ ნურას შეეკითხები,
იტირებსო, და ისიც გაყუჩდა.

სალამოვდებოდა. გოგო-ბიჭებმა საქონე-
ლი სოფლისკენ გაირეკეს, სტუმარი ლომა
კამეჩზე შესვეს და სიძლიერით გასწიეს.

ლომა კამეჩმა ბავშვი ეზოში შეიყვანა.
სამზარეულოდან ახალგაზრდა ქალი გამო-
ვიდა და შორიდან გაესაუბრა ბავშვს.

— შენ შემოგველე, შვილო, ბავშვებმა
რომ არ გაგაჯავრეს, რისთვის ხარ მოწყენი-
ლი? — ქალმა ხელში აიყვანა ბიჭუნა.

სამზარეულოში კერია ღვოდა. ლომი
ისე თუხთუხებდა, რომ ნაჭაზე ქვაბი ქა-

ნაობდა. იქვე ხის შამფურზე შხიოდა ქათა-
ნი, ხოლო კეცში ხაჭაპური აფუებუიყო
და დამწვარი ყველის სუნი იდგა. კუთხეში
მოსუცი ქალი ფქვილს ცრიდა. ახალგაზრდა
ქალმა რძით გავსებული ქვაბუნა გამოიტა-
ნა და იქვე ცეცხლის პირას დადგა. ბიჭუნა
ფრთხილად კველზე დასვა. ქათამი შეატ-
რიალა, ნაკვერჩხლებიდან აიღო შებრაწუ-
ლი ფილტვი, სული შეუბერა და ბავშვს
ხელში ჩაუღო.

— ჭამე, შვილო, ჭამე!

ვანამა მიზად იყო. ოთახი ლამზამ გაანა-
თა. მაგიდა გაშალეს. სუფრის თავზე მოხუ-
ცი ფილიმონი დაჯდა. ეს იყო ერთადერთი
მამაკაცი.

— ეხ, თვალი დაუდგეს ომს! — ამოიხენე-
შა ბერიკაცმა და ქალებს გადახედა. —
თქვენთან რა მასმევს ღვინოს, თქვენ გააძ-
ლებთ მე?!

ბერიკაცმა ჰიქიდან ღვინო მოსვა, კმაყო-
ფილებით უღვაშზე ხელი გადაისვა და გაი-
ლიმა.

— ჩინებული სასმელია! მგონი, ცოტათი
მონათლული უნდა იყოს, მაგრამ... ეი, ბი-
ძიკო, — მიმართა მან ბიჭუნას, რომელსაც
ხელში ქათმის ბარკალი ეკავა. — მოდი აქ,
მე და შენ ვართ მხოლოდ მამაკაცები, აბა,
სუფრის იმ თავში შენ დაჯექი, თვალი გა-
მისწორე. გამეხარდება, შვილო!

ქალებს გაეცინათ, მიიწ-მოიწიეს და
სკამზე დასვეს ოთხი წლის ბიჭუნა.

ბერიკაცმა ღვინო გადაკრა.

— ჰიქები გამოცალეთ! — მიმართა ბერი-
კაცმა ქალებს და სასმისი აიღო, — აბა, ბი-

ძიკო, მომიჯახუნე, ეს შენი სადღეგრძელოა.

ბერიკაცი ლულულედბდა, ხოლო პატარა ვასიას ძილისაგან თვალები ებრიცებოდა. მან ოლიას კალთაში იპოვა თბილი ბინა. გვარი რომ გეკითხათ, არც კი იცოდა, თუ რა გვარისა იყო. იცოდა მხოლოდ დედისა და თავისი უფროსი ძმის სახელი, რომელიც ტუაფსის დაბომბვის დროს დაიღუპა. მამა-ჩემს კაპიტანი ჰქვიაო, — დაჟინებით ამბობდა ვასია. და მართლაც კაპიტანი იყო მამამისი.

ამ ორი თვის წინათ სპირიდონმა პატარა ვასია ერთი დიდი პურითა და გრძელი წერილით თავის ფოთელ ნათესავს გამოატანა სოფელში. წერილშიც არ ეწერა ვასიას მამის გვარი. სპირიდონი უბრალოდ სწერდა ცოლს: „ამ ბავშვს კარგად მოუარეთ, ჩემი კაპიტნის შვილია. მამამისი თუ გადარჩა, ხომ კარგი, თუ არა და ბავშვს რა უშავს, გაიზრდება. ოლია, ჩვენ უშვილო ვართ მაინც, — ბავშვს გაუფრთხილდი. ჩემი დარი ნუ გაქვს“.

დარდი კი დიდი ჰქონდა ოჯახს: შიში ჰკლავდათ, ვაითუ სპირიდონი ცოცხალი ვეღარ დაბრუნდეს ფრონტიდან.

ოჯახში მაინც კიაფობდა იმედის ვარსკვლავი. ეს იყო წერილები ფრონტიდან და პატარა ვასია, რომლისადმი სიყვარული დღითი დღე იზრდებოდა.

სამჯერ მოვიდა მსუყე შემოდგომა. საბჯერ გაიძარცვა და საბჯერვე აყვავდა ტუხურის ჭალებზე ბალ-ვენახები. სამჯერ მიიღო ოჯახმა უხვი მოსავალი. სპირიდონის დარგული მანდარინისა და ხურმის ხეება პირველი ნაყოფით დაიხუნძლა.

ვასია შეიდი წლის გახდა. რუსული სკოლიად დაავიწყდა, მეგრულად ქლურტულეობდა. იგი სოფლის დაწყებით სკოლაში შეიყვანეს ვასილ სპირიდონის ძე დიხაძის ჯიას საბუთებით.

ასევე გაიზარდა ვასიას სახელობაზე გავებული დეკეული, საღამოობით თავის ხმოს ალერსიანი ბლავილით რომ ეძახდა. ღორმაც მეორედ დაყარა გოჭები და ლურჯა კვიციც გასახედნი გახდა. სწავლის შემდეგ ვასია მათ ტუხურის პირას გარეკაეს და რძიანი ბალახით უმასპინძლდებოდა.

სამეგრელოს მზემ და მთის ჰაერმა ვასიას თავისი ფერი და იერი გადასდო. ის როდი იყო თეთრი და ფუნთუღა, როგორც ამ სამი წლის წინათ. სახეზე რკინის ფერი დაედო. უფრო გამკვრივდა, აილეწა და ამაღლდა. მეგრულ სიმღერებს გაჰკიოდა. ცეკვაც ისწავლა და ცხენსაც მარდად აჭენებდა თემშარაზე.

რძალ-დედამთილს მოლოდინისაგან თვალები უღამდებოდა. სოფელში ახალ-ახალი ამბები მოდიოდა; ბევრმა დედამ გაიხარა, დაკარგული შვილისაგან ბარათი მიიღო; ვინც მკვდარი ეგონათ და გამოიგლოვეს, იმხანაც კი მოიწერა კარგადა ვარო, მაგრამ სპირიდონისაგან არაფერი ისმოდა.


ეკა ფიქრმა მოტეხა, დააბერა.

რძალიც გამშრალი იყო, უტყვი და გულჩათხრობილი.


რძალ-დედამთილის ჩალამებულ გულს ვასია თუ გაანათებდა თავისი ქლურტულით.

ყველაფერს კარგსა და ლამაზს ვასიას სახელს არქმევდნენ. ანებივრებდნენ ბავშვს.

ომი დამთავრდა, მაგრამ ეკასა და ოლიას გულში ფიქრი და დარდი არ განელებულა. სპირიდონს კენიგსბერგის ალების შემდეგ წერილი არ გამოუგზავნია. აგერ რვა თვე გავიდა და მისგან არაფერი ისმოდა. ოლიამ მიატოვა ვასიას გასართობად ჩონგურის დაკრა და ეკასაც გამოეღია ზღაპრები. დანაოვლიანდა ოჯახი. ამ ნაღველის გესლი ვასიასაც გადასწავდა. უფროსების შემ-



ყურე ისიც გამშრალი და გალურსული იყო. ხშირად ტიროდა ეკა და ვასიასაც თვალე-ბი უტყრემლდებოდა.



იმ დღით ვასიას სკოლაში გამოუცხადეს მეორე კლასში გადაყვანილი ხარო და ნიშნების ქალაღი მისცეს. გახარებული მიწაზე ფეხს არც კი აკარებდა, ისე მობოდა შინ, მაგრამ ჭიშკართან შედგა. ერთი შეათვალიერა ავტომობილი. აივანზე სამხედრო ტანისამოსში გამოწყობილი მამაკაცი იჯდა, მკერდზე შრავალი ორდენი და მედალი

უბრწყინავდა, ხოლო სამხრეებზე ორი მოდილო ვარსკვლავი ჰქონდა. პოდპოლკოვნიკი იყო.

— ვასია, მოდი, შვილო, მოდი! — ატირებული ხმით დაუძახა ოლიამ.

— შვილო, შვილო! — წამოიძახა პოდპოლკოვნიკმა და წამოხტა სკამიდან. ბიჭუნა ხელში აიტაცა და დიდხანს, დიდხანს ჰკოცნა, ეალერსა. გაფითრებული ვასია ერთხანს გაურკვეველ მდგომარეობაში იყო. ვეღარ სცნობდა მამას. მას თითქმის ოთხი წელია არ ენახა იგი. მამა საკმაოდ გამოცვლილი იყო. ლოყაზე ნატყვიარი ღია წითელ ფერად აჩნდა, რაც მთელ სახეს სულ სხვა იერს სდებდა. მამის მუხლებზე ჩამომჯდარი ვასია ჯერ კიდევ დუმდა, მაგრამ მის ბავშვურ ცნობიერებაში მამის სახე როცა ისევ აღდგა, აღტაცებულმა სიყვარულით მშობლიურ ენაზე წამოიყვირა:

— პაპა, პაპა!

სასწრაფოდ ორივე ხელი მხარზე შემოკხვია, თავი კისერში ჩაუყო და ატირებულმა დაუწყო კოცნა.

ნასადილეგს ოლია ვასიას ეუბნებოდა:

— არ დამივიწყო, შვილო! შენი ლურჯა მაინც მოგაგონდეს, აი შენი ლურჯა, ისიც წაიყვანე.

მამის ქამარს ხელჩაჭიდებულ ვასიას ჯერ შორიდან მწარედ გაუღიმა ოლიამ და შემდეგ თავისკენ მიიზიდა იგი. ბავშვი ერთხანს დუმდა და მრალერსე თვალეებით მამას შეჰკლიმოდა. ოლია კი ცრემლს იკავებდა, გულდათუთქული ბუტბუტებდა.

— ბედნიერი ყოფილხარ, ჩემო შვილო, ბედნიერი, მამა ჩამოგივიდა! პატარა საქმეა?! გაიზრდები, გაიფურჩქნები და მე დამივიწყებ, არა? მე ნუ დამივიწყებ, ბიჭო! მე ისიც მეყოფა, რომ მიდიხარ და დამივიწყება რაღა... არა, შვილო...

ქალმა თავი ვერ შეიმაგრა და მის მწუხარე სახის ნაოჭებზე ცრემლმა გაიბრწყინა. ვასიაც მოიღუმა. ოლიამ ცრემლი მოიშინა და დათმბაქოს. კვამლში გახვეულ სტუმარს მიმართა.

— ბატონო, ეს შესანიშნავი ბავშვია, ალერსითა მყავს გაზრდილი და ვინმე აშარსა და გულღრძო დედინაცვალს ნუ ჩაუდგებთ, თორემ დაიჩაგრება... ვაი ჩემს თვალეებს!


ავტომობილს შემოხვეული გოგო-ბიჭები ყივილ-ხივილით იკლებდნენ იქაურობას.

ვასია სახლიდან გამოვიდა, ხტუნვა-ხტუნვით გაირბინა ეზო, ალაგეს გადაევილო და ავტომობილში ჩახტა.

— ახლა მივდივარ, აი! — ამყად გადასძახა მან ბავშვებს და საკეს ხელი ჩასჭიდა.

ვასიას მამა ეკასა და ოლიას გადაეხვია გამოშვებულობებისას.

სალამოს ბინდში ავტომობილის ძარას ნათურა წითლად ანათებდა, ხოლო პოდპოლკოვნიკ ბორის გაბრიელის-ძე პობოვის გულშიც კიაფობდა წმინდა ფიქრი იმის შესახებ, რომ ის არასოდეს არ დამივიწყებდა სპირიდონს, მის კეთილ ოჯახს. ნამდვილ ბურჯად შეუღებოდა.



რუსთავის მეტალურგები 1950 წლისათვის ჩვენს რესპუბლიკას მისცემენ 1 მილიონ 310 ათას ტონა ფოლადს, თუჯსა და ნაკლინს. ყველა ამ ლითონიდან ერთი დიდი ბოძი რომ ჩამოვასხათ, ფუძის დიამეტრით ოთხი მეტრი, მაშინ მისი სიმაღლე თვალუწვდენ სიმაღლეზე ავა, 14 კილომეტრს მიაღწევს, სტრატოსფეროში შეიჭრება.

დახედეთ საქართველოს რუკას და დაინახავთ, თუ რა გრანდიოზული ცვლილებები მოხდა უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში.

სტალინური ხუთწლედების მანძილზე საქართველომ უდიდეს წარმატებებს მიაღწია. საქართველოში აშენდა 815 საწარმო.

წლითიწლობით იზრდება კაპიტალდაბანდებანი. საკმარისია აღინიშნოს, რომ მეოთხე ხუთწლედში საქართველოს მეურნეობაში დაბანდებული იქნება ოთხჯერ მეტი თანხა, ვიდრე პირველ ხუთწლედში, და ორჯერ მეტი, ვიდრე მეორე ხუთწლედში.

მეოთხე სტალინური ხუთწლიანი გეგმა ბრწყინვალედ განსაზღვრავს ჩვენი სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი აყვავების ყველა საკითხს.

ღიად საფუზაოთა კროზრამა

მეოთხე სტალინური ხუთწლიანი გეგმის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ მას საქართველოს ინდუსტრია აჰყავს უფრო მაღალ საფეხურზე. ჩვენს სამრეწველო პროდუქციაში პირველად გამოჩნდა თუჯი, ფოლადი, კოქსი, ავტომობილი....

მეორე დამახასიათებელი ნიშანია საფეიქრო, მსუბუქი, საშენ მასალათა, კვების, სატყეო და ადგილობრივი მრეწველობის არა მარტო ომამდელი დონის მიღწევა, არამედ მისი გადაჭარბებაც.

მესამე დამახასიათებელი ნიშანია ჩვენი სოფლის მეურნეობისა და განსაკუთრებით ძვირფას სუბტროპიკულ და ტექნიკურ კულტურათა ფართობისა და პროდუქციის გადიდება.

მეოთხე დამახასიათებელი ნიშანია მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ამაღლება, ახალი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, ქალაქებისა და სოფლების კეთილმოწყობა და გამშენიერება.

მეხუთე დამახასიათებელი ნიშანია მეცნიერების, ხელოვნების, კულტურის მძლავრი აღმავლობა, მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვაზე ზრუნვის გაძლიერება, ახალი სკოლების, სამეცნიერო დაწესებულებების, თეატრების, კინოების, კლუბების, ბიბლიოთეკების, საავადმყოფოების მშენებლობა.

გარდა ამისა, დიდი სამუშაოები ჩატარდება საგზაო მშენებლობის დარგში. საკმარისია აღინიშნოს, რომ მეოთხე ხუთწლედში გაყვანილი იქნება 350 კილომეტრამდე ახალი რკინიგზის ხაზები, აგრეთვე რესპუბლიკური მნიშვნელობის ოთხი გზატკეცილი: ჩოხატაური—ბახმარო, მაიაკოვსკი—საირმე—დიდმაღალა, ცაგერი—წყალტუბო და მუხური—ლუგვლა.

ის, რაც რუკაზე არ იყო

უწინ რუსთავის მიდამოებში ტრიალი მინდორი იყო და ამ ადგილს მეცხვარეები ზამთრობით პირუტყვის საძოვრად იყენებდნენ. ცნობილი ქართველი გეოგრაფი ვახუშტი ბატონიშვილი თავის შრომაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ აღნიშნავს, რომ:

„აღმოსავლით და სამხრით არს ველი დიდი საესე ქურციკითა, ეშვითა, მშვლითა, დათვითა და წვრილის ნადირთა. ირემი და ხოხობნი მრავალნი... მთასა არს მონასტერი კლდესა შინა გამოკვეთილნი“.


ეს არის რუსთავის მიდამოები, სადაც 1944 წლიდან, დიდი სტალინის მითითებით, განახლდა ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობა. ამით საძირკველი ჩაეყარა საქართველოსა და ამიერკავკასიის მეტალურგიულ ბაზას და ჩვენ უკვე საკუთარი ლითონი გვექნება. რუსთავის ქარხანა იმუშავებს დაშქესანის (ახერბაიჯანის სსრ) რკინის მადანსა და ტყვარჩელის მაღალხარისხოვანი ქვანახშირის ბაზაზე.

ზოგადი წარმოდგენა რომ ვიქონიოთ მეოთხე ხუთწლედის ამ პირმშოზე, საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ქარხანას ექნება ორი საბრძმედე ლუმელი 430 ათასი ტონა თუჯის, ორი საკოქსე ბატარია 500 ათასი ტონა კოქსისა და 6 მარტენის ლუმელი 500 ათასი ტონა ფოლადის სიმძლავრისა. ეს იქნება ახალი უზარმაზარი სამრეწველო ქალაქი, რომელიც გეოგრაფიულ რუკაზე უწინ აღნიშნული არ იყო.

რუსთავი ლითონს მიაწოდებს ქუთაისის საავტომობილო ქარხანასაც, რომელიც პირველი და ერთადერთი საავტომობილო ქარხანაა ამიერკავკასიაში. იგი წლიურად 30 ათას სამტონანახევრიან ავტომანქანას გამოუშვებს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ თითოეულ სამუშაო ღღეში ქარხნის კონვეიერიდან 100 ავტომანქანა ჩამოვა.

„მრეწველობის პური“

ქვანახშირს, როგორც სათბობსა და ქიმიურ ნედლეულს, უდიდესი მნიშვნელობა აქვს სახალხო მეურნეობისათვის. ვ. ი. ლენინი ქვანახშირს სამართლიანად „მრეწველობის პურს“ უწოდებს.



6 მილიონ 830 ათას მეტრ აბრეშუმის ქსოვილსა და 3 მილიონ 795 ათას მეტრ შალის ქსოვილს დაამზადებს ჩვენი საფეიქრო მრეწველობა მეოთხე ხუთწლედის ბოლოს.

მთელი ეს ქსოვილი რომ დავაგოთ, იგი დაფარავს მანძილს თბილისიდან შორეული აღმოსავლეთის ქალაქ ხაზარკესამდე (მოსკოვზე ვაგლით)—დაახლოებით 11 ათას კილომეტრს.



საერთო ნათესი ფართობი საქართველოში 987 ათას ჰექტარს მიაღწევს, მათგან 800 ათასი ჰექტარი კოლმეურნეობებში.

ეს ნათესი ფართობი საქართველოს სს რესპუბლიკის მთელი ფართობის 12 პროცენტს შეადგენს.

იგი თითქმის 1.000 კვადრატული კილომეტრით გადააჭარბებს აფხაზეთის ასს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიას.



მეოთხე ხუთწლეულში ჩაის ფართობი 57.500 ჰექტარს, ხოლო ციტრუსოვანთა 29 ათას ჰექტარს მიაღწევს. საქართველო სავსებით დააკმაყოფილებს მთელი საბჭოთა კავშირის მოთხოვნილებას ჩაისა და ციტრუსებზე. ევკალიპტის წარგავთა რაოდენობა აუვანილი იქნება 40 მილიონ ძირამდე.



საქართველოს შესანიშნავი აღ-პური და სუბალპური საძოვრები ყველა პირობას ქმნიან მეცხოველეობის ზრდა-განვითარებისათვის. მეოთხე ხუთწლეულის ბოლოს ცხენის სულადობა 1945 წელთან შედარებით გადიდება 43 პროცენტით, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა—17 პროცენტით, ცხვრისა და თხისა—41 პროცენტით, ღორისა—52 პროცენტით.

რევოლუციამდე ქვანახშირის მოპოვება მხოლოდ ტყიბულში წარმოებდა, რომლის საბადოს დამუშავება სწორედ 100 წლის წინათ დაიწყო (1847 წელს). ხუთწლეულების მანძილზე საქართველოში ქვანახშირის მოპოვება ორგანიზებული იყო სამ მთავარ საბადოზე: ტყიბულში, ტყვარჩელსა და ახალციხეში. ამ უკანასკნელის ქვანახშირი კარგი კოქსეაღია. ახალციხის ქვანახშირის ახალი საბადო ხუთწლეულში სავსებით დააკმაყოფილებს მთელი მესხეთ—ჯავახეთის რაიონების მოთხოვნილებას და მეზობელ რაიონებშიც გავიტანთ. ამ მიზნით 1946 წელს ბორჯომიდან ახალციხემდე გაყვანილ იქნა რკინიგზის ხაზი.

ილსანიშნავია, რომ ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკებში, აზერბაიჯანსა და სომხეთში, ქვანახშირი სრულიად არ მოიპოვება, ამიტომ საქართველოს ქვანახშირს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი ამიერკავკასიის მრეწველობის მომარაგებისათვის.

1913 წელს რევოლუციამდელ საქართველოში ქვანახშირი მოპოვებულ იქნა მხოლოდ 70 ათასი ტონის რაოდენობით, 1940 წელს კი ამ ციფრმა 625 ათას ტონას მიაღწია (ე. ი. ცხრაჯერ მეტი). ხუთწლიანი გეგმის თანახმად, 1950 წლისათვის საქართველოში ამოღებული იქნება 2.400.000 ტონა ქვანახშირი, ე. ი. სადღელამისო მოპოვება 6.500 ტონას მიაღწევს. ამრიგად, საქართველო მეოთხე ხუთწლეულში მარტო 11 დღეში მოიპოვებს იმდენ ქვანახშირს, რასაც მთელი წლის განმავლობაში იღებდნენ რევოლუციამდელ საქართველოში.

ქვანახშირთან ერთად თანამედროვე სახალხო მეურნეობისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მარგანეცი, ურომლისოდაც წარმოუდგენელია მეტალურგიის განვითარება. ჭიათურის მარგანეცის საბადოს მარაგისა და ხარისხის მხრივ ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია მსოფლიოში. 1950 წლისათვის მარგანეცის ქალაქი ჩვენს ქვეყანას მისცემს 2.040 ათას ტონა მარგანეცის მადანს, ე. ი. 2,8-ჯერ მეტს, ვიდრე 1913 წელს. ჭიათურა მარგანეცით ამარაგებს ორ უდიდეს ქარხანას—ზესტაფონისა და ჩელიაბინსკის (ურალი) ფეროშენადნობთა ქარხნებს.

დიდი ლენინის მითითებით

1921 წელს დიდი ლენინი საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკის კომუნისტებს სწერდა:

„მთელი ძალ-ღონით განავითარეთ მდიდარი ქვეყნის საწარმოო ძალები... დაიწყეთ დიდი მუშაობა ელექტროფიკაციისა და მორწყვის დარგში“.

თუ როგორ ხორციელდება დიდი ლენინის მითითება, ამაზე შემდეგი ციფრები მეტყველებს. თუ 1913 წელს რევოლუციამდელ საქართველოს ყველა ელექტროსადგურის სიმძლავრე მხოლოდ 8,9 ათას კილოვატს აღწევდა, 1944 წლისათვის ეს ციფრი 40-ჯერ გადიდდა, ხოლო 1950 წლისათვის საქართვე-

ლოს ელექტროსადგურები გამოიმუშავებენ 1.300 მილიონ კილოვატსაათ ენერჯიას. ასეთი უზარმაზარი ენერჯიის გამო-სამუშავებლად საჭირო იქნებოდა მილიონი ადამიანის მუშაობა თითქმის 11 წლის განმავლობაში, თუ მხედველობაში მივი-ღებთ, რომ ერთი კილოვატსაათი ელექტროენერჯია უდრის ერთი კაცის სამ სამუშაო დღეს.

მეოთხე ხუთწლედში საქართველოში აშენდება ოთხი ჰიდ-როელსადგური—ხრამჭესი, ჩითახევეკისი, სუხუმპესი და ტყი-ბულპესი—169 ათასი კილოვატის საერთო სიმძლავრისა, და აგრეთვე განხორციელდება 21,5 ათასი კილოვატი სიმძლავ-რის მცირე ჰიდროელსადგურთა მშენებლობა. მიმდინარე წელს პირველ სამრეწველო დენს მოგვცემს ხრამჭესი, რის შემდეგ საგრძნობლად გაუმჯობესდება ქალაქებისა და რაიონული ცენტრების ელექტრომომარაგება.

„ზავი სისხლი“

„ჩრდილოეთით არის ქვეყანა გეორგიანა (ე. ი. საქართვე-ლო), რომელიც განთქმულია დიდი წყაროთი. იქ ზეთის მსგა-ვის სითხე—პეტროლეუმი ამოდის. მას საჭმელში არ ხმარო-ბენ, არამედ სხვადასხვა ავადმყოფობის განსაკურნავად იყე-ნებენ. მეზობელ ქვეყნებიდან მრავლად მოდიან ვაჭრები და მიაქვთ იგი“,—ასე ახასიათებდა მირზაან-შირაქის ნავთობის საბადოს XIII საუკუნის ცნობილი ვენეციელი მოგზაური მარკო პოლო. აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის ცნობით, მირ-ზაანის ნავთი ჯერ კიდევ XI—XIII საუკუნეებში შუა აზია-შიაც გაჰქონდათ.

ამჟამად საქართველოში ნავთობის მოპოვება წარმოებს მირზაან-შირაქის (წითელწყაროს რაიონი), ნორიო-მარტყო-ფის (თბილისის რაიონი) და სუფსა-ომფარეთის (ლანჩხუთის რაიონი) საბადოებზე. გარდა ამისა, ცნობილია 60-მდე სხვა-დასხვა საბადო, რომელთა შესწავლა მეოთხე ხუთწლედში ჩატარდება.

მეოთხე ხუთწლედის ბოლოს საქართველოში მოპოვებულ იქნება 110 ათასი ტონა ნავთი. არსებულ საბადოთა ნავთის სამრეწველო მარაგი გადიდდება 340 ჭაბურღილ-წერტით.


სოფლის მეურნეობის ბაკაბა

უხვი ქართული მიწა შესანიშნავ ნაყოფს იძლევა. დიდი საბჭოთა ქვეყნის ყველა კუთხეში, არხანგელსკიდან ტაშკენ-ტამდე, კიევიდან ვლადივოსტოკამდე საბჭოთა ადამიანები სვამენ სურნელოვან ქართულ ჩაის, რომელიც თავისი ხარი-სხით არ ჩამოუვარდება ცვილონისა და ჩინეთის ცნობილ ჩაისს. მთელ საბჭოთა კავშირში ცნობილია ქართული ციტრუ-სები—ლიმონი, მანდარინი, ფორთოხალი, გრეიბფრუტი, ცი-ტრონი. ქართული მაღალხარისხოვანი ღვინო ხომ უცხოე-თშიაც განთქმულია.




1950 წელს საქართველო დაამ-ზადებს დაახლოებით 2 მილიონ დეკალიტრ მაღალხარისხოვან ღვი-ნოს, მათგან მარტო „საბჭოთა შამ-პანიურს“ 820 ათას დეკალიტრის რაოდენობით.

მთელი ეს ღვინო ერთ დიდ ჭურ-ქელში რომ მოვთავსოთ, ვთქვათ, გიგანტურ ბოთლში, ფსკერის დია-მეტრით 10 მეტრი, მაშინ ამ ბოთ-ლის სიმაღლე თითქმის ერთ კი-ლომეტრს მიაღწევს, ფსკერი მიწა-ზე რომ ექნება, თავი შრეოვან ღრუბლებში შეიჭრება.




1950 წელს საქართველოს მემა-ლორელები ამოიღებენ 2 მილიონ 400 ათას ტონა ქვანახშირს და დაამზადებენ 450 ათას ტონა კოქსს. ქვანახშირისა და კოქსის ეს უზარმაზარი რაოდენობა ერთ გროვად რომ დავაყენოთ, იგი ქეოფსის ცნობილი პირამიდის მო-ცულობას გადააჭარბებს.



1950 წლისათვის საქართველოში ამოღებული იქნება 110 ათასი ტონა ნავთობი.

მთელი ამ ნავთობიდან მიღებული ბენზინი საწვავად ეყოფა 10 ათას სამტონანახევრიან საბარგო მანქანას 40 ათასი კილომეტრის გასაველად. სხვანაირად რომ ვთქვათ, ეს ბენზინი ეყოფა 10 ათას ავტომობილს მთელი დღე-მიწის გარშემო—ეკვატორით— ერთხელ შემოვლისათვის.



მეოთხე სუთწლეულში საინჟინრო სისტემებით სარწყავი ფართობი გადიდდება 55 ათასი ჰექტარით, დამთავრდება ალაზნის სარწყავი არხის რეკონსტრუქცია და სხვა არხები. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი იქნება სამგორის არხი. ამ უკანასკნელზე აგებული იქნება აგრეთვე 4 ელსადგური 36 ათასი კილოვატის საერთო სიმძლავრისა.

სუთწლიანი გეგმის თანახმად, საქართველოში საგრძნობლად გაიზრდება ჩაის, ციტრუსოვანთა, ვენახებისა და ტექნიკური კულტურათა ფართობი. მეოთხე სუთწლეულში საქართველო წლიურად დაამზადებს 2 მილიონ დეკალიტრ ღვინოს, 17,9 ათას ტონა ჩაის, ათეული მილიონობით ციტრუსოვანთა ნაყოფს და სხვ. განახლება კოლხიდის ჭაობის ამოშრობის სამუშაოები და „საბჭოთა კალიფორნიას“ შეემატება 20 ათასი ჰექტარი ახალი სასოფლო-სამეურნეო მიწა. ერთიორად გაიზრდება პირუტყვისა და ფრინველის რაოდენობა.


სოფლის მეურნეობის აღმავლობის მიზნით დიდი ყურადღება ექცევა სარწყავ საშუალებათა მშენებლობას. სუთწლეულის პერიოდში დამთავრდება აჯამეთის, დოღლაურის ველის, კეხვისა და დოეს-გრაკალის სარწყავი არხები. ზემო სამგორის სარწყავი სისტემა, როგორც ამობს ამხანავი კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანი, „შესაძლებლობას მოგვცემს ქალაქთბილისთან უშუალოდ ახლოს მდებარე 40 ათასამდე ჰექტარი მიწა, რომელიც ნაკლებ არის გამოყენებული, გადავაქციოთ აყვავებულ ბაღებად, ვენახებად, ბოსტნებად, ბამბის მაღალხარისხოვან პლანტაციებად“.

პირველი შედეგები

მეოთხე სტალინური სუთწლეულის პირველი წლის დავალებათა შესრულების საქმეში ჩვენმა მშრომელებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს. მრეწველობის საერთო პროდუქციის გამოშვება 1946 წელს 102,7 პროცენტით შესრულდა, რაც 6,4 პროცენტით სჭარბობს 1945 წლის დონეს.

კალკული დარგებიდან გეგმის შესრულების მხრივ აღსანიშნავია ქვანახშირისა და მარგანეცის მადნის მოპოვება, ელექტროენერჯის გამომუშავება, დაზგების გამოშვება, ცემენტის დამზადება და სხვ. დიდი წარმატებები მოიპოვეს სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუშაკებმა.

ასეთი არის და უფრო უკეთესი იქნება ჩვენი მზიური, ორდენოსანი საქართველო მეოთხე სტალინურ სუთწლეულში. იგი გახდება კიდევ უფრო ძლიერი, ლამაზი, მიმზიდველი.



როს მუსანიშნავი თარიღები

რუსული პროზაული ლიტერატურის მამა

ასე შეაფასა დიდმა მოაზროვნემ ნიკოლოზ გაბრიელისძემ ჩერნიშევსკიმ გენიალური რუსი მწერალი ნიკოლოზ ვასილისძე გოგოლი. ადრეთოვანებული აზრი გოგოლის შესახებ პირველად ა. ს. პუშკინმა გამოთქვა. „ეს-ეს არის წავიკითხე „სახამოები დიკან-



ნ. გოგოლი
1809—1852

კის ახლოს“—წერდა პუშკინი.—მათ განმაცვიფრებს. აი, ნამდვილი მხიარულება, გულწრფელი, ძალდაუტანებელი, მანქვა-გრენისა და ზვიადობის გარეშე“.

პუშკინსა და გოგოლს მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა მქონდათ და დიდად უყვარდათ ერთმანეთი. გოგოლს მისი შესანიშნავი ნაწარმოებების პესა-კომედია „რევიზორისა“ და მოთხრობა „მკვდარი სულეების“ სიუჟეტი, როგორც ცნობილია, პუშკინმა მისცა.

გოგოლის ყოველი ნაწარმოების გამოსვლას რუსეთის მოწინავე ინტელიგენცია ბ. გ. ბელინსკის მეთაურობით განსაკუთრებით მხურვალედ ხვდებოდა. გოგოლს თვლიდნენ რუსული ლიტერატურის უდიდეს გენიოსად, რომელმაც მხატვრულ პროზაში ისეთივე გადატრიალება მოახდინა, როგორც პუშკინმა პოეზიაში.

მაგრამ რუსული ლიტერატურული კრიტიკის რეაქციულ ნაწილში, თავად აზნაურობასა და დიდ მოხელეებში, გოგოლის ნაწარმოებები აღმფოთებას იწვევდა, რადგან უბადლო რეალისტმა ოსტატურად დახატა მათი უარყოფითი მხარეები, ბრწყინვალედ აღწერა ბატონყმური რუსეთის მთელი სისაძაგლე.

გამმართახებელ სატირასთან ერთად გოგოლის ნაწარმოებები აღსავსეა სამშობლოსადმი უსასღვრო სიყვარულით. იგი თავდადებით ეძებდა გზებს, რომლებიც დიდ რუს ხალხს ნათელი და ბედნიერი ცხოვრებისაკენ წაიყვანდნენ. გოგოლს მტკიცედ სწამდა თავისი დიადი ხალხის უძლიველობა და ამიტომ ამბობდა: „განა მოიპოვება მთელს ქვეყანაზე ისეთი ციციხლო, ტანჯვა და ძალა, რომლებიც შესძლებენ დასჯაბნონ რუსული ძალა!“

ნ. გ. ჩერნიშევსკის თქმით „... დიდი გონებისა და მაღალი ბუნების იყო ის, ვინც პირველად ჩვენ ჩვენი თავი წარმოგვიდგინა თავისი ნამდვილი სახით, ვინც პირველად გვასწავლა ვიცოდეთ ჩვენი ნაკლოვანებანი და გვეზივდებოდეს ისინი... უკვდავია მისი დამსახურება“. ეს სიტყვები დაწერილი იყო გოგოლის შესახებ.

ნ. გ. გოგოლი გარდაიცვალა 95 წლის წინათ, 1852 წლის 4 მარტს.

გამოჩენილი რუსი ფიზიკოსი

ლენინდვის სამეცნიერო მოღვაწეობის ფრიად მნიშვნელოვანი ამოცანა იყო სინათლის წნევის არსებობის ექსპერიმენტალური დამტკიცება. სინათლის წნევის შესახებ აზრი გამოთქმული იყო ჯერ კიდევ 1619 წელს ასტრონომ კეპლერის მიერ, თეორიულად კი იგი ნიუტონმა დაასაბუთა.

ათეული წლების მანძილზე ფიზიკოსების შრომა ამ დარგში უშედეგო აღმოჩნდა. მხოლოდ ლენინდევმა შესძლო ცდით დამტკიცებინა სინათლის წნევის არსებობა და მისი გაზომვა. ლენინდევი ჩატარებული მუშაობის შესახებ გამოვიდა ფიზიკოსთა საერთაშორისო კონგრესზე პარიზში 1900 წელს. ამ ნაშრომმა ლენინდევი მსოფლიოს ფიზიკოსთა პირველ რიგში დააყენა.

1909 წელს ლენინდევი ჩატარებული ცდების შედეგად წერს ახალ შრომას „სინათლის წნევის შესახებ აირებზე“, რომელმაც მსოფლიო მეცნიერების უდიდესი განცვიფრება გამოიწვია. ლენინდვის ეს აღმოჩენა ჩათვალეს „თანამედროვე ფიზიკის ექსპერიმენტალური ხელოვნების უმაღლეს წერტილად“. ლენინდე-



ლ. ლენინდევი
1866—1912

ვი აირჩიეს ლონდონის სამეფო ინსტიტუტის წევრად, მთელ რიგ სამეცნიერო საზოგადოებათა საპატიო წევრად, იგი წამოაყენეს კანდიდატად ნობელის პრემიაზე.

მეფის მთავრობამ არ დააფასა გამოჩენილი ფიზიკოსის სიდიადე, მისი ღვაწლი. მხოლოდ საბჭოთა ხე-

ლისუფლებების დროს დაფასდა ამ უდიდესი ფიზიკოსის გამოკვლევა. ეგრეთწოდებული „ლებედვის სარდამედან“ (ლაბორატორია) შეიქმნა მოსკოვის ფიზიკური საზოგადოება.

საბჭოთა ფიზიკოსები ახორციელებენ ამ დიდი ფიზიკოსის იდეებს და ახალ-ახალ ამოცანებს წყვეტენ ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ ლებედვის სახელობა ფიზიკური ინსტიტუტის ფართო და ნათელ ლაბორატორიებში. ლებედვის პირველი იყო, ვინც ელექტრული სპექტრის დარგში საქმე სწორად წარმართა და ახლა უღტრა მოკლე ტალღები ტექნიკური ფიზიკის უმნიშვნელოვანეს საგანს წარმოადგენენ, ფართო გამოყენებას პოულობენ კავშირგაბმულობის საქმეში. თანამედროვე ასტროფიზიკამ უდიდესად შეაფასა ლებედვის გამოკვლევები სინათლის წნევის დარგში და იგი ჩვენი დროის უდიდეს ასტროფიზიკოსად აღიარა.

14 მარტს შესრულდა 35 წელი ლებედვის გარდაცვალებიდან.

ისაკ ნიჰორნი

გენიალური ინგლისელი მათემატიკოსი, ასტრონომი და ფიზიკოსი. მან საფუძველი ჩაუყარა კლასიკურ მექანიკას, მოგვცა ნივთიერების აგებულების უაღრესად ნათელი აღწერა. მრავალ აღმოჩენას შორის, რომელთაგანაც ისაკ ნიჰორნი ეკუთვნის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფიზიკის კანონი, რომელსაც მსოფლიო მიზიდულობის კანონი ეწოდება.

ფართოდაა გავრცელებული ამბავი იმის შესახებ, რომ ვაშლის ნაყოფის მოულოდნელმა ჩამოვარდნამ ხიდან ნიჰორნი მიიყვანა ამ კანონის აღმოჩენამდე. თანამედროვე მეცნიერები ფიქრობენ, რომ ეს ამბავი ლეგენდას არ წარმოადგენს.

ნიჰორნის მეგობარი სტეკელი ასე გადმოგვცემს: „ნასადილევს (ნიჰორნთან ლონდონში) დიდი პაპანაქება იყო. ჩვენ გავედით ბაღში და ჩაის ვსვამდით ვაშლის ხის ჩრდილში. ვიყავით მხოლოდ ჩვენ ორნი. სხვათა შორის, სერ ისაკმა მითხრა, რომ სწორედ ასეთსავე მდგომარეობაში იმყოფებოდა იგი, როდესაც პირველად გაუფლავა აზრმა მიზიდულობის შესახებ. ეს გამოწვეული იყო ვაშლის ვარდნიტ იმ დროს, როდეს-



ი. ნიჰორნი
1643—1727

საც იგი ფიქრებში გართული იჯდა. „რატომ ვარდება ვაშლი მუდამ შეველად,—გაიფიქრა მან,—რატომ გვერდით არა, არამედ მუდამ დედამიწის ცენტრისაკენ? ალბათ, უნდა არსებობდეს მატერიაში მიზიდულობის ძალა, რომელიც მიმართულია დედამიწის ცენტრისაკენ...“

ცხადია, არ უნდა ვიფიქროთ, რომ ფიზიკის უდიდე-

სი კანონი აღმოჩენილ იქნა შემთხვევით. შემთხვევითი იყო არა მსოფლიო მიზიდულობის კანონის აღმოჩენა, არამედ ვაშლის ვარდნა სწორედ იმ მომენტში, როდესაც ნიჰორნი ფიქრებში გართული ბაღში ისვენებდა ხის ჩრდილში.

თავის სამშობლოში, ვულსტონში, სოფლის მყუდროებაში ოცდაორი წლის მეცნიერმა მოკლე დროში მოახდინა თითქმის ყველა თავისი ძირითადი აღმოჩენა ოპტიკაში, გამოიგონა ახალი მათემატიკური მეთოდი, რომელსაც უმაღლეს მათემატიკაში დიფერენციალური აღრიცხვას უწოდებენ, საფუძველი ჩაუყარა მიზიდულობის თეორიას.

31 მარტს შესრულდა 220 წელი ნიჰორნის გარდაცვალებიდან.

„გმიკული“ სიჟოონის აპოკრი

ვერ ნახავთ არათუ მუსიკოსს, არამედ მუსიკის მოყვარულს, რომელიც არ მოხიბულა გენიალური



ლ. ბეთოვენი
1770—1827

გერმანელი კომპოზიტორის ლუდვიგ ვან ბეთოვენის ნაწარმოებებით.

რით არის დიადი ბეთოვენის შემოქმედება? იმიტომ, რომ მისმა მუსიკამ ადამიანის გრძნობებისა და განწყობილებათა უსაზღვრო მრავალფეროვნება ასახა. ამიტომ იშვიათია ისეთი ადამიანი, რომელსაც გულის სიღრმეში არ ჩასწვდეს ბეთოვენის მუსიკა, არ ადავსოს იგი კეთილშობილური განცდებით.

კომპოზიტორის უდიდესი ტრაგედია იყო სიყრუე, რაც თანდათან ძლიერდებოდა; ბოლო წლებში იგი სავსებით დაყრუვდა. ამ ავადმყოფობის შედეგად ბეთოვენი პირად ცხოვრებაში პირქუში და გულფიცხი იყო, მაგრამ მის შემოქმედებას მუდამ ახასიათებდა გმირული და მხნე შინაარსი.

დემოკრატმა და რესპუბლიკელმა ბეთოვენმა მუსიკაში ასახა საფრანგეთის რევოლუციის პათოსი. მან დაწერა ცხრა სიმფონია. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია მესამე—ეგრეთწოდებული „გმირული“ და მეცხრე, რომელიც მთავრდება ხოროთი შიღერის ტექსტზე „ოღები სიხარულისადმი“. ამას გარდა მის კლამს ეკუთვნის სონატები, კვარტეტები, საფორტეპიანო და სავოლინო კონცერტები, სამი მესა, ორატორია, ოპერა „ფიდელიო“ და მრავალი რომანსი-სიმღერა.

26 მარტს შესრულდა 120 წელი ბეთოვენის გარდაცვალებიდან.



პოეტის ძვილი

სურათი მისამი

ფარდის წინ არიან ენაკიევი და ბიდენკო

ბიდენკო — (უბატაკებს) თქვენდამი რწმუნებული ბატარეის მართვის ოცეულის მხვერვათა რანძი. ჯარისკაცები საომარი ოპერაციისათვის ემზადებიან, ჩემი მორიგეობის დროს არავითარი შემთხვევა არ მომხდარა, მორიგე ეფრეთორი ბიდენკო.

ენაკიევი — ასე, მამასადამე, არავითარი შემთხვევა არ მომხდარა? (სიხუმრე) რას გაჩუმებულხარ?

ბიდენკო — ნება მომეცით მღვანესწინო...

ენაკიევი — შეგიძლიათ არ მომასწინოთ. უკვე ვიცი. ევრაფერი შვილი მხვერავი მყოლია — პატარა ბიჭვა გაატურა, ათეულის, მეთაურის მთავსენეთ?

ბიდენკო — დიან, მოგახსენე.

ენაკიევი — მერე?

ბიდენკო — რთვარეშე ორი განაწესი მომცა.

ენაკიევი — რაოდენი განაწესი?

ბიდენკო — ორი.

ენაკიევი — ცოტაა, ჩემგანაც მიუშნატეთ სამი, სულ ხუთი.

ბიდენკო — მესმის. (დუმობის შემდეგ) ამხანაგო კაპიტანო, ის რომ ჩვეულებრივი ბიჭი ყოფილიყო, სხვა საქმეა. ის ბიჭი კი არა, ნამდვილი ჭისკაა, სიმათილეს მოგახსენებთ.

ენაკიევი — მერე რა. მართალია, კარგი ბიჭია. თქვენი მოგეწონათ?

ბიდენკო — ძალიან ბიჭია! დამოუკიდებელი ხასიათის ბიჭია, ჭკვიანი—ერთი სიტყვით, ღარისკაცად არის დაბადებული. ჩვენ მას სახელგანთქმულ მხვერავად გამოვზრდიდით. მაგრამ, ეტყობა, მადის ბედი არ ყოფილა.

ენაკიევი— ცოდვა.

ბიდენკო — არა, რატომაც ცოდვა. იგი, რასაკვირველია, ზურგშიც არ დაიკარგება — ისწავლის. მართალი ვითხრათ, კიდევ გვეცოდება. ვაჟკაცური სულის პატრონია. მადის ადგილი არმიაშია.

ენაკიევი — ხომ არ იფონებ?

ბიდენკო — რად მჭირდება მოფონება! შეჩვედისთანავე ეტყობა, რაც არის. თქვენ, როგორც ჩვენს მეთაურს, რასაკვირველია, უკეთ მოგესხენებათ ეს.

ენაკიევი — მაშ, კარგი! (მიდის ფარდის უკან და სწრაფად გამოდის ვანიასთან ერთად). აჰა, ჩაიბარეთ თქვენი პატარა მწუკმსი. ჯერჯერობით თქვენთან იცხოვროს. მერე კი ვნახოთ. (მიდის).

ვანია — (გახარებული) გამარჯობა, ძია ბიდენკო!

ბიდენკო — (არ ესალმება) აჰა, ბიჭო, სთქვი, საიდან გაჩნდი? სად გიბოფა კაპიტანმა ენაკიევმა?

ვანია — რომელია კაპიტანი ენაკიევი?

ბიდენკო — აი ის, რომელმაც ჩვენთან მოგიყვანა.

ვანია — განა ის კაპიტანი ენაკიევი იყო?

ბიდენკო — ნამდვილად ენაკიევი.

ვანია — ვაიმე!

ბიდენკო — შენ არ იცოდი?

ვანია — საიდან მეცოდინებოდა? რომ მცოდნოდა... აჰ, კარგი იყო მეცნო მართალი მითხარით, ძია, იგი ნამდვილად კაპიტანი ენაკიევი იყო?

ბიდენკო — ნამდვილად. ის იყო სწორედ.

სურათი მმოთხე

შემოდგომა. ვანიალი. შენიღბული ბატარეა. კოვალიოვი, ვანია.

კოვალიოვი — აჰა, ახლა კვლავ უსმინე ჩემს ბრძანებას: ნომერი შეეჭმე, შრამხელით მილი რვა-ორი.

ვანია — (ქანჩალებით ზომანე აყენებს მილს) არის!

კოვალიოვი — მაჩვენე (ამოწმებს). სწორია! ყოჩაღ, ბიჭო! დღევანდელი მცოდინებობა დამთავრებულია. მამასადამე, შენ ჩვენთან ბატარეის მეთაურმა სასწავლად გამოგზავნა?

ვანია — დიან, ამხანაგო სერყანტო!

კოვალიოვი — სახმედრო სალაშს ნუ იძლევი ერთ-თავად. არაა საჭირო. არც ეს სარგადყლაშულივით გაჭიმევა საჭირო, სწორად უღებო. თუკი გსურს კარგი არტილერიისტი გახდე, პატარაობიდანვე უნდა შეისწავლო ზარბაზნი (იქტირება ბინოკლში) აჰა, დაბოლოს, აღმოსავლეთ პრუსიამდეც მივადწიეთ...

ვანია — სად მივადწიეთ?

კოვალიოვი — (აძლევს ვანიას ბინოკლს) აი, გახედე, სიმადლე ნომერი რვა. იმის იქით წყალსაქარია, — ეს მათი ქალაქი ოთაუა. იქიდან გზატკეცილი პირდაპირ ბერლინში მიდის.

ვანია — რათ, გზატკეცილი ბერლინში მიდის? მამასადამე, ამ გზით ბერლინამდე შეიძლება მისვლა?

კოვალიოვი — მერე რა არის აქ საოცარი! ჩვენი მხვერავები ჯერ კიდევ გუშინ იყვნენ ბერლინის გზატკეცილზე, დღეს დილით დაბრუნდნენ. იქ ისეთი პანიკა — ღმერთმა დაგიფაროს! მთელი გზატკეცილი გერმანელებითაა გაჭედილი. გარზიან.

ვანია — როგორ, მხვერავები უკვე ბერლინის გზატკეცილზე იყვნენ? ძია ბიდენკოც იყო?

კოვალიოვი — რასაკვირველია.

ვანია — მე არ წამოყვანეს...

კოვალიოვი — შენ, ძმობილო, ახლა მხვერავი არა ხარ. შენ, ძმობილო, ახლა არტილერიისტი ხარ.

ვანია — არ წამოყვანეს... ყველანი იყვნენ გზატკეცილზე, მე კი არა ვყოფილვარ. გზატკეცილზე გერმანელებს ისე მივცხებდი!

კოვალიოვი — ნუ დარბობ, ვანია! მალე ამ ზარბაზანთან ერთად ბერლინში შესრიალდები. დღეს კი აი ამ ნომერ რვა სიმადლეს ავიღებთ, და გზატკეცილიც ჩვენი იქნება.

*) დასაწყისი იხ. „სურნალ ჰიონერის“ № 2.



— გვარდიის წითელარმიელი სოლნცევი, მიიღეთ ფორმის ტანსამოსი.

ვანია — ყველანი იყვენენ, მე კი არა ვყოფილვარ.
მატვევი — (შემოდის) წითელარმიელი სოლნცევი!
ვანია — (გაეჭიმება) აქა ვარ!
მატვევი — ნუ მეჭიმები, არაა საჭირო სამხედრო სალაშქ.
 (ემსაკუთრად) სჯობს გამოიცნო, რა მოვითვანე?
ვანია — აბა, რა?
მატვევი — ვერ გამოიცნობ.
ვანია — გამოვიცნობ. (ფიქრობს) მსჩვენეთ.
მატვევი — უკუთო მატყუებ! თუ შეგიძლია, ისე გამოიცანი.
ვანია — ფორმის ტანსამოსია.
მატვევი — სწორია. ფორმის ტანსამოსია.
ვანია — ჩემთვის? ფორმის ტანსამოსი?
მატვევი — შენთვის.
ვანია — უჰ, შენი გულისა!
მატვევი — აი, ხომ ხედავ. შენ კი მაინც მოწყენილი ხარ უბედუნკოდ. მზვერავებთან ასეთ ფორმის ტანსაცმელს როდღი მოგცემდნენ! ჩვენ უნდა გვიმადლოდენ, ძიბობილო, არტილერიისტებს.
ვანია — გმადლობთ, ძია! შეიძლება ახლავე ჩავიცვა?
მატვევი — გვარდიის წითელარმიელი სოლნცევი, მიიღეთ ფორმის ტანსამოსი.
ვანია — მზად ვარ!
მატვევი — აბა, ჩადი მიწურში, მხედრული სახე მიიღე.
ვანია — შესმის! (გარბის ცეცვა-ცეცვით) უჰ, შენი გულისა! უჰ, შენი გულისა!

ჯარისკაცები იცინიან

მატვევი — (ვაპყურებს ვანიას და სიყვარულით ამბობს) ეშმაკმა წაიღოს მაგისი თავი! ყოჩაღია!
კვალიოვი — უღრუბლო მზეა!
მატვევი — ოჰ, დღეს სიცხე იქნება!
კულისებიდან ისმის გუშაგის ხმა. „შეჩირდი, ვინ მოდის? ბოდიში, ამხანაგო კაპიტანო, ვერ გიცანით.“
შემოდის კაპიტანი ენაიევი.
ამხანაგო კაპიტანო! თქვენდამი რწმუნებულ ბატარეაში...

ენაიევი — კარგი, კარგი. არ არის საჭირო, ვიცი... ბიჭი როგორ არის?
მატვევი — ბიჭს არა უშავს, ამხანაგო კაპიტანო. ეს-ეს არის ფორმის ტანსამოსი მისცეს.
ენაიევი — ეს ძალიან კარგია, დღე ბერლინიში ლამაზად გამოწყობილი ჩავიდეს. დამძახეთ ბიჭუნას.
მატვევი — მისმის! (მოდის).
კვალიოვი — კარგი ბიჭია, დირსეულია. ცხოვრების პირობებს უყვებ შეეჩვია, ჩვენც შეგვეჩვია. ამის წინათ ბანორა-მასთან ვამეცადინე. წარმოიდგინეთ — ყველაფერი გადიგო. გაკვირდებოდით კიდევ. მემიზნედაა დაბადებულა.
ენაიევი — მზვერავები კი ამბობენ — მზვერავადაა დაბადებული. შესაძლებელია, არც ესაა და არც ის, არამედ მხოლოდ ბუნებით მცემარია.

კვალიოვი — არც ეს არის ცუდი.
ენაიევი — იცით, ვასილ ივანეს-ძევი, მინდა ვიშვილო. თქვენ როგორ ფიქრობთ?
კვალიოვი — კარგი საქმეა, დიმიტრი პეტრეს-ძევი.
ენაიევი — მე, ბოლოსა და ბოლოს, მარტონელა კაცი ვარ. ოჯახი არა მაქვს. თუმცა კი მქონდა, მყავდა ცოლი, დედა, მყავდა ბიჭუნა... ახლა ის შვიდი წლისა იქნებოდა. ვიტანს ვეძახდით. კარგი ბიჭი იყო, ნიჭიერი, მხიარული. საშინელი ამბავია ეს. ერთ წუთში მოხდა ყველაფერი. მე, რასაკვირველია, თვითონ არ მინახავს, მაგრამ მაამხვს. მინსკის გზატკეცილზე საშინელი საქმე მოხდა. მეზღვაურის ლურჯი ქული ეხურა... ახლა შვიდის იქნებოდა... გასისხლიანებულ ჩვარივით ეგდო... უჰ, საზიზღრები! უმწეო ხალხს ჟღებენ.

ბავშვებს. ახლა მას, რასაკვირველია, კითხვა ეცოდინებოდა... (დუმბილი) ჰო, რას ვამბობდი? მაშასადამე, ვანია ღირსეული ბიჭუნაა?

კვალიოვი — უშეველად დირსეულია, დიმიტრი პეტრეს-ძევი.

ენაიევი — მაშ, ძალიან მოხარული ვარ, რომ მირჩევთ. მართალი ვითხრა, დივიზიონის შეთაურს უკვე პატაკით მივმართე, რათა ბიჭუნა ჩემს სახელზე გააფორმონ. დღე მყავდეს კარგი, გონიერი ვაჟიშვილი. სწორია ხომ, ვასილ ივანეს-ძევი?

კვალიოვი — დიას, ამხანაგო კაპიტანო.

ენაიევი — მგონი, მარჯვენა ფლანგზე ურტყამენ, არა?

კვალიოვი — (დააყურებს) დიას, ურტყამენ, მაგრამ ძალიან შორს.

ენაიევი — ჰო, შორს. ეს კარგია. ეს ძალიან შორსაა — გერმანელების განლაგების სიღრმეში.

ვანია — (შემოდის ფორმის ტანსამოსში გამოწყობილი, თამბეკრეული). თქვენ მემძახოდით? გამარჯობა, ბიძიკო! (ორივე ხელით იხდის ქულს).

ენაიევი — დუმს. პაუზა. გამარჯობა, ბიძიკო!

ენაიევი — (ღიღი ხნის დუმბილის შემდეგ) შენ ვინა ხარ? ვანია — ეს ხომ მე ვარ, ვანია. მწყემსი ბიჭი. ვერ მიცანით ვანა?

ენაიევი — ვანია? მწყემსი ბიჭი?

ვანია — დიას, (ჯღებდა ყუთზე).

ენაიევი — ეს რა ჩაგიცვამს? ან მხრებზე რა დაგიკრავს?

ვანია — (დაბნეულად) ეს სამხრებია.

ენაიევი — რატომ?


ვანია — ასეა მიღებული.

ენაიევი — აჰ, მიღებულია! რისთვის არის ასე მიღებული?

ვანია — ყველა ჯარისკაცისათვის ასე არის მიღებული.

ენაიევი — ისინი ჯარისკაცები არიან. მაგრამ შენ ვანა ჯარისკაცი ხარ?

ვანია — მაშ როგორ! ბრძანებით გააფორმეს. ფორმის ტანსამოსიც კი მივიღე. სულ ახალია, აი, შეხედეთ!



ენაკივი — გერ ვხედავ.

ვანია — რას ვერ ხედავთ, ძია? აი, მსაცვია კიდევც ფორმის ტანისამოსი, ჩექმები, ფარაჯა. შეხედეთ, სამხრებზე რა კარგი ზარბაზნები მაქვს, ხედავთ?

ენაკივი — ზარბაზნებს ვხედავ, მაგრამ ჯარისკაცს კი ვერა.

ვანია — კი, მაგრამ ჯარისკაცი ხომ მე ვარ.

ენაკივი — არა, ჩემო მეგობარო, შენ ჯარისკაცი არა ხარ. (უცებ მკაცრად) ჯარისკაცი ასე არ ცხადდება მითაურთაშ. აღექ!

ვანია შეშინებული წამოხტება.

არ ვარგა! ხელახლა გამოცხადდი!

ვანია ქუდს ჩამოფხატავს, გაიქცევა და ხელახლა შემოდის სამწყობრო ნაბიჯით. **ენაკივი** თვალს ჩაუკრავს კოვალის.

ვანია — ნებას მომცემთ მოგმართოთ?

ენაკივი — მომმართეთ.

ვანია — ამხანაგო კაპიტანო! თქვენი ბრძანებით გამოცხადდა წითელარმიელი სოლნცევი!

ენაკივი — (სიცილით) აი, ეს კი სულ სხვა ამხანაგა, გამარჯობა წითელარმიელი სოლნცევი!

ვანია — გაუმარჯოს ამხანაგ კაპიტანს!

ენაკივი — ყოჩაღ! აი, ახლა კი ვხედავ, რომ შენ ჯარისკაცი ხარ, ვანია. დაჯექი. მოვილაპარაკოთ, თორემ დრო ცოტა დაგფრჩხა.

კოვალივი — ნებას მომცემთ კარავში წავიდე?

ენაკივი — წადით. (კოვალივი მიდის). ასეა საქმეები, ჩემო ვანია. რა გიყო შენ—აი, რა საკითხია გადასაჭრელი.

ვანია — მსაბტირეთ, ამხანაგო კაპიტანო! ეს მცეთი არ განმეორდება. არტილერიისტის პატიოსან სიტყვას გაძლევთ!

ენაკივი — რა არ განმეორდება?

ვანია — ისე გამოცხადდი, როგორც არ არის მიღებული.

ენაკივი — სწორია, ძმობილო. შენ ბირდაბირ უნდა მოქვას, უხეიროდ გამოცხადდი, ძალიან ცუდად გამოცხადდი. მაგრამ არა უშავს. ეს საქმე მოგვარდება. ისწავლი. შენ საზრიანი ბიჭი ხარ. რაღას დგახარ? დაჯექი, ახლა სამხედრო სამსახურის საქმეებზე კი არა, ოჯახურ საქმეებზე გელაპარაკები (ვანია ჯდდება). ჰო, იმას ვამბობდი, რა გიყო შენ? თუმცა ჯერ მოხრდილი არა ხარ, მაგრამ მინც საფსებით კაცია ხარ. შენთვის ცხოვრება ეს—ეს არის იწყება. ამიტომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება შეცდომის დამშვება, როცა საკითხი შენს მომხვედლს ეხება. ხომ ასეა? აბა, შეიმოხედე თვალბეში... შენ პატარა ჯარისკაცი ხარ, ჩემო ვანია, შენ უცვე არა ჰგავხარ იმ ჩამოვლელი და ტუტყთან ბიჭს, რომელიც მხვერავებმა იპოვეს.

ვანია — მართალია, არა ვგაფარ. ახლა ფორმის ტანისამოსი მაქვს. თმაუცარტული ვარ.

ენაკივი — მამ, როგორ მოვიქცეთ, ვანია? ა?

ვანია — ისე მოვიქცევი, როგორც მიბრძანებთ.

ენაკივი — ბრძანების გაცემა ჩემთვის ძნელი არაა. აი, მე მინდა ვიცოდე, შენ თვითონ როგორ გადაწყვეტ.

ვანია — რა უნდა გადავწყვიტო? მე გადავწყვიტე და ის არის. უცვე ბრძანებითაც გამაფორმეს.

ენაკივი — ეს არაფერია. როგორც ჩაფრიცხეს, ისე გამოვლიცხავენ.

ვანია — ნუ იზამთ ამას.

ენაკივი — მამ, რა გადაწყვიტე?

ვანია — თქვენთან არტილერიისტად მინდა ვიყო.

ენაკივი — სერიოზული საკითხია. ამ საქმეზე კარგი იქნებოდა შენს შუამდგომლობას შეგკითხებოდით. მაგრამ რომ არავინ გყავს? საესებით ობოლი ხარ. ახლობელი ხომ არავინ გყავს?

ვანია — (დაბალი ხმით) არავინ.

ენაკივი — უნდა გითხრა, რომ მეც არავინ მყავს. მყავდა ვაჟი, ახლა შვიდი წლისა იქნებოდა. კარგი ბიჭი იყო, ვითია ერჭვა.

ვანია — (გულუბრყვილოდ). გერმანელებმა მოკლეს?

ენაკივი — ჰო, მოკლეს.

ვანია — მეც დამხობილს მშობლები.

ენაკივი — ჩემო ობოლო ბიჭო! (მოეხვევა). მამ, როგორ მოვიქცეთ? ძნელია უღრემამოდ ყოფნა?

ვანია — ძნელია.

ენაკივი — მე კი უშვილოდ ყოფნა მიძნელდება. და, აი, მეც გადავწყვიტე, დიას, გადავწყვიტე... შენ, ჩემო ვანია... გამიწეე კარგ შვილობას?

ვანია — (კანკალით წამოხტება) ამხანაგო კაპიტანო! ცსურთ მიშვილოთ? მამსადამე, მე თქვენ მოგწონეთ, ხომ ასეა? ამხანაგო კაპიტანო! დაიჯერეთ ჩემი სიტყვა! ისეთი ვიქნები... ისეთი შვილი ვიქნები!

ენაკივი — გმადლობ! მისმინე! შენ მხვერავების კარგი შვილი იყავი, არტილერიისტების კარგი შვილი იყავი. შენ იქნები ჩემი ძვირფასი და კარგი შვილი. მაგრამ არასოდეს არ დაიფიწყო, რომ პირველ ყოვლისა, მულამ და ყველგან, უნდა იყო შენი დედა-სამშობლოს ერთგული შვილი.

ვანია — მე ვიქნები ასეთი.


4338



ვარდა

— ამხანაგო კაპიტანო! თქვენი ბრძანებით გამოცხადდა წითელარმიელი სოლნცევი!

რუსულიდან თარგმნა
ლემო მსაკიანა



ო ა

გაზაფხულის მახარობელს
მეძახიან ნორჩები.
როცა მიწას ავშორდები,
ზამთრის ძილს რომ მოვრჩები,
მწვანე კაბას შევიკერავ,
ლურჯად ავიქოჩრები.

სალამს მივცემ პირველ ცისკარს,
მზეს შევეხმიანები,
დავინახავ, როგორ დელავს
მინდვრად პურის ყანები;
სიხარულით მემოკრბება
ყველა ჩემიანები.

ჩემი ცქერით გავახარებ
დიდებსა თუ პატარებს,
ვინც ამიყვანს, გულს ჩამიკრავს,
ქალაქს შემომატარებს,
სიყვარულით მიფრთხილდება
ნიაღვს არც კი მაკარებს.

მთელ ქვეყანას შემოვივლი
გოგონების თანხლებით,
ყველას ვნახავ,
ბუჩქის ძირას
უაზროდ არ გავხმები
და ბავშვების სიხარულის
მონაწილე გავხდები.





კოლხეთის ბარი, რომელიც ბევრგან ზღვის დონეზე დაბლა მდებარეობს, და იქვე, რამდენიმე ათეული კილომეტრის დაშორებით, შხარა 5.200 მეტრზე და იალბუზი 5.630 მეტრზე ცაში აზიდულნი. შხარას ძირიდან გადმოქუსს კავკასიის ყველაზე ჩქარი მდინარე ენგური, რომელიც ერთი კილომეტრის მანძილზე საშუალოდ 16 მეტრით ვარდება, და იქვე, კოლხეთში, ზღვას ერთვის მდინარე ფიჩორა, რომლის მოძრაობის მიმართულებასაც კი ძნელად გარჩევს ადამიანი.

მაშინ, როდესაც სვანეთის მთებში ჯერ მხოლოდ პირველი ზვაგების გრიალი გვამცნობს გაზაფხულს, ბათუმში ყვავის მიმოზა და იშლება ვარდის ყვავილები.

იშვიათი და ძვირფასი ხეების—ურთხმელისა და კაკლის უღრანი ტყეები, და იქვე—უმდიდრესი საზაფხულო-ალბური და საზამთრო საძოვრები. საქართველოს უძველესი ისტორიული ძეგლები, და იქვე—სტალინური ხუთწლედების გრანდიოზული ნაგებობანი. სვეტიცხოველი და არმაზი, საფარა და ბაგრატის ტაძარი, და იქვე—ზაპესი, რიონჰესი და რუსთავის მეტალურგიული ქარხანა.

დედამიწის ზედაპირი მუდმივ ცვალებადობას განიცდის,—ჩნდება ახალი და ისპობა ძველი. და არ არის ისეთი მოვლენა დედამიწის ზედაპირის ცვალებადობისა, რომ საქართველოს ფარგლებში იგი რაიმე სახით არ იყოს გამოხატული. ვულკანები ჩამქრალი და მოქმედი (ტალახის ვულკანები კილა-კუპრაში, მდინარე იორზე), დედამიწის ქერქის საუკუნეებრივი მოძრაობა (სატანჯიოს ციხე, რომელიც წინათ ზღვის პირას მდებარეობდა), ზედაპირის და მიწისქვეშა წყლების მუშაობა (თბილისში, ლისის ტბაზე, შეგიძლიათ ნახოთ, თუ როგორ იბრძოდნენ მდინარეები სათავეებისათვის და როგორ გაქრა ოდესღაც არსებული მდინარე ლისი, ხოლო ნუნისში, სადგურ მარელისის მახლობლად, შეგიძლიათ ნახოთ დენაპერიოდული წყარო, რომელიც დენას პერიოდულად წყვეტს და კვლავ აახლებს).

ჩვენს ქვეყანაში დედამიწის ზედაპირისა და ქვეყნის გეოგრაფიის ცვლილებების დანახვა უშუალოდ ჩვენი თვალით შეგვიძლია. კოლხეთში სასწაულებრივ იზრდება ჭაობებიდან ახალი ხმელეთი; ხრამის სათავეში ახალი ტბის ტალღები ხმაურობენ იქ, სადაც ამ ცოტა ხნის წინათ მხოლოდ პატარა მდინარე ჩუხჩუხებდა; სულ მალე იორი იცვლის კალაპოტს და თბილისის კიდესთან სამგორის ტრამალ ველებზე ვენახები და ხილნარი გაიშლება...

სამოცდათორმეტი რაიონი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში ორი ავტონომიური რესპუბლიკა და ერთი ავტონომიური ოლქია. აფხაზეთის რესპუბლიკა 6 რაიონისაგან შედგება, აჭარის—4 რაიონისაგან, სამხრეთ-ოსეთის ოლქი — 4 რაიონისაგან. დანარჩენი ტერიტორია 58 რაიონადაა დაყოფილი. ამრიგად, სულ 72 რაიონისაგან შედგება საბჭოთა საქართველო.

მრავალი წელიწადი დასჭირდება მკვლევარსა და მოგზაურს, რომ მოიაროს და შეისწავლოს მთელი ჩვენი ქვეყანა, ყოველი მისი კუნძული, ნახოს ყველაფერი, რაც ღირსშესანიშნავია, აღმოაჩინოს და გამოავლინოს, რაც ჯერ კიდევ უცნობია ადამიანისათვის და უქმად და გამოუყენებლად დარჩენილი. მაგრამ რამდენი რამ საინტერესო, უცნობი და გამოუყვლველი შეხვდება დაკვირვებულ მოგზაურს, სულაც რომ არ გასცდეს იგი თუნდაც ერთი რაიონის ფარგლებს!

ერთი სამოცდათორმეტთაგანი

განგებ შევჩერდეთ ისეთ რაიონზე, რომელიც თითქოს არაფრით არ არის შესანიშნავი. ვთქვათ,—ამბროლაურის რაიონი. მაგრამ იცით, რამდენი რამ საკვირველი და შესანიშნავი ამ რაიონში? სამი მდინარე ერთვის რაიონს მარჯვენა მხრიდან, სამივე ლეჩხუმის ქელიდან გამომდინარეობს. ლუხუნისწყლის ხეობაში დარიშხანის შესანიშნავი საბა-





ლოა, რიცეულას ხეობაში—რიცეულქესია, რომელიც მთელ ამბროლაურსა და მოსაზღვრე რაიონების სოფლებს ანათებს. რიონის ხეობაში განთქმული ხევანქარას ვენახებია, მარცხენა ნაპირზე — მაღლა შაორის ველზე, შესანიშნავი ტბებია—ხარისთვალი და ძროხისთვალი. აქ ბუნების შესანიშნავ მოვლენას, კარსტულ გვირაბს, რომლითაც წყალი ქვევით რიონისაკენ მოიმართება, აღამინმა თავისათვის გამოსადეგი გამოყენება უპოვა; ახლა ეს გვირაბი ფართოვდება და შაორის ველზე დაგუბებული წყალი დიდი სიჩქარით ქვევითკენ დაშვებული, ამოძრავებს შაორქესის ტურბინებს. სოფელ სინათლეთში უძველესი ნიკორწმინდის ტაძარია. ნაქერალის ქედიდან ნაქერალის გადასავალზე გადმომდგარ მოგზაურს შეუძლია გადავიდეს ტყიბულში—ქვანახშირის ქალაქში, ხოლო ლუხუნისწყლის სათავედან გადადგეს ლეჩხუმის ქედზე და ცხენისწყლის სათავეებს გადაუაროს. ლუხუნისწყლის, ასნისწყლისა და რიცეულას სათავეებში ჯერ ბევრია გამოუკვლეველი და შეუსწავლელი. ამბროლაურელ პიონერებსა და მოსწავლეებს არ მოუხდებათ შორს სიარული, რომ შესანიშნავი აღმოჩენების მონაწილე გახდნენ.

ამბროლაურის რაიონი შესანიშნავია სხვა მხრივაც. მან საქართველოს მისცა ისეთი მეცნიერები, როგორც არიან აკადემიკოსი ალექსანდრე ჯანგილიძე და აკადემიკოსი ალექსანდრე თვალჭრილიძე, რომლებიც ქვის შესწავლის ნამდვილი ოსტატები არიან, რომლებმაც მრავალს შეაყვარეს ქვების სამყარო და დაანახეს ქვის შესანიშნავი თვისებები.

აკადემიკოსი ა. ე. ფერსმანი „გასართობი მინერალოგიის“ ქართული გამოცემის წინასიტყვაობაში წერდა:

„საქართველოს მცხოვრებით, და განსაკუთრებით საქართველოს ახალგაზრდობას, შეუძლებელია არ უყვარდეთ ქვა. ფეხის ყოველ გადადგმაზე ქვა გვაკვირებს თავისი სიდიადითა და ძლიერებით. ბუმბერაზი მაღაროები თვალსაჩინოდ ლაპარაკობენ ქვის მნიშვნელობაზე კაცობრიობის ისტორიაში, ხოლო თეთრი ნახშირის აქაფებული მასები გვაგონებენ წყლის ენერჯიას“. აკადემიკოსი ფერსმანი მოუწოდებდა ქართველ ახალგაზრდობას: „დაუკავშირეთ თქვენს ექსკურსიებსა და მთებზე ასვლებს ქვის ძებნა, მიზნად დაისახეთ გაამრავლოთ ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე ახალი, სოციალისტური ცხოვრების საკეთილდღეოდ“.

მართლაც, რამდენი რამ შესანიშნავისა და საჭიროს აღმოჩენა შეუძლიათ ნორჩ მოგზაურებს, რარიც წარმტაცი და საინტერესო მოგზაურობა მოეღოს ყველას, ვინც მოისურვებს ვაცდეს ნაცნობისა და შეჩვეულის ფარგლებს. ჩვენს ირგვლივ რამდენიმე კილომეტრის მანძილზე ბევრია ახლობელი, მაგრამ ჩვენი უტნობი და შეუსწავლელი ადგილი.

„ახლობელი მოგზაურობა“ წავგიყვანს შორს, წარსული საუკუნეების სიღრმეში, დაგვანახებს გარდასულ საუკუნეებს და ჩავგახედებს შესანიშნავ მომავალში, შესაძლებლობას მოგვცემს აქტიური მონაწილეობა მივიღოთ ჩვენი აწმყოსა და მომავლის მშენებლობაში, რადგან „საბჭოთა ადამიანს აინტერესებს ყველაფერი, და უპირველესად ყოვლისა კი სოციალიზმი“ (ვ. მოლოტოვი).

„ახლობელი მოგზაურობა“ დაგვანახებს ადგილებს, სადაც იბრძოდნენ ჩვენი წინაპრები და სადაც დღეს იღწვიან სოციალისტური შრომის გმირები, დაგვანახებს მათი შრომის შესანიშნავ ნაყოფს, კიდევ უფრო შეგვაყვარებს ჩვენს მშობლიურ ქვეყანას.

თუ როგორ მოვაწყოთ მოგზაურობა, როგორ დავამზადოთ მოგზაურობისათვის საჭირო საჭურველი და ხელსაწყოები, როგორ ჩავატაროთ დაკვირვებები და გამოკვლევები,—ყოველივე ამას შემდეგ საუბრებში შევეხებით.





1946 წლის ივნისის ბოლო რიცხვებში. პიონერი გოგონების ერთი რაზმი ჯავახეთ-მესხეთს გავემგზავრეთ. ის შთაბეჭდილება, რაც მესხეთისა და, კერძოდ, ვარძიის ნახვით განვიცადე, სიკვდილამდე არ დამავიწყდება. ამ გრძნობამ გააძლიერა ჩემში ჩემი ქვეყნისადმი უღრმესი სიყვარული და წრფელი სურვილი მისთვის ვიცოცხლო, რომ ჩემი სამშობლოსათვის ღირსეული და თავდადებული შვილი ვიყო ყოველთვის და ყველა საქმეში.

ჩვენი ლაშქარი, ოცდაათი გოგონას შემადგენლობით, ლურჯი შარვლებითა და ლურჯი ზედატანებით 23 ივნისს ბორჯომიდან აწყურისაკენ გაემართა. რა არ ვნახეთ გზადაგზა! პეტრეს ციხე, რუსთავი, ხერთ-

ვისი, დუნდა-ნაქალაქევი, ვანის ქვაბი... მაგრამ მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე შეეჩერდები ორიოდ სიტყვით.


აგერ აწყური, უანგისფერ ციცაბო კლდეზე აშენებული ციხე-სიმაგრით, საიდანაც 1770 წელს გენერალმა ტოტლებენმა რუსთა დამხმარე ჯარი ქართლისაკენ მოღალატურად გამოაბრუნა და ერეკლე მეფე ქართველთა მცირე ჯარით ოსმალთა მოზღვავებულ ურდოებს პირში მისცა.

უფრო ზემოთ,—ახალციხისგან სამი კილომეტრით დაშორებული საფარის დიდებული ტაძარი და იქვე ანდრეზიტის ფენებზე ნაგები ციხე-სიმაგრე.

შემდეგ—ასპინძა, სადაც ერეკლე მძლავრ და გათავზედებულ მტერს—ლეკ-ოსმალთა ჯარს—ისეთი ვაჟკაცობით დახვდა, რომ მთელ ევროპაში ბრწყინვალე სტრატეგის სახელი გაითქვა.

განველეთ კიდევ მრავალი მთაგორიანი, მიხვეულ-მოხვეული გზა და უცებ ჩვენ თვალწინ აღიმართა თმოგვის ზვიადი ციხე, რომლის ნახვამ ჩვენი ქვეყნის წარსულისადმი სიამაყის გრძნობით ალავსო ჩემი გული... ბოლოს გამოჩნდა ტუფის კლდეებში გამოკვეთილი ვარძიის ტაძარი და შვიდ სართულად კლდეშივე ნაგები ქალაქი.

თითქოს დღესაც ვკვრეტ მის სურათს, დღესაც იმ სურნელებით ვტკბები, რაც მის წიაღში ვიყნოსე. თუ XII საუკუნის გენიამ ის საოცრება რამ შექმნა, რაც ამჟამად ჩვენი გაკვირვების საგნად გადაიქცა, — მეც ხომ ქართველი ვარ, ჩემშიც ხომ სულ



თმოგვის ციხე


მცირეოდენი ღვრიტა მაინც უნდა იყოს და-
დებული შემოქმედების იმ დიდი და დაუშ-
რეტელი უნარისა!

ო, ჩემო ქვეყანავ, მთელი ჩემი არსებით
მსურს, რომ მეც რაღაც ვიყო, რომ შენი
აყვავების ასპარეზზე მეც წილი მედოს,
რომ ჩემი არსებობის კვალი მეც დავტოვო
ამ ცხოვრებაში!

აი ასეთი გრძნობანი მეტყველებდნენ
ჩემში, როცა ვარძიის ახლო, ერთ ლამაზ
ტყეში, ჩვენმა ხელმძღვანელმა, ცოტაოდენი
ისტორიული განმარტებების შემდეგ, თა-
ვის სიტყვას დასკვნაც გაუკეთა და ასე
მოგემართა:

— თუ წარსულში ქართველ ერს ამ
ძვირფასი ძეგლების მშენებელი გმირები
ჰყავდა, ნუ დაგავიწყდებათ, რომ დღეს,
სტალინური ეპოქის ხანაში, რომელიც იმ
დღიანი წარსულის შარავანდედად გადაქცე-
ულა, ჩვენ, მეგობრებო, ბევრი, ძლიერ ბევ-
რი რამ გვევალება. დიადი მშენებლობის
ხანა ჩვენგან ღრმა ცოდნას, დიდ განვითარ-
ებას, სამშობლოს ჭეშმარიტ სიყვარულს
მოითხოვს. მაგრამ,—განაგრძო მან,—ცოდ-
ნასთან ერთად პიროვნების ასამაღლებლად
მეტად საჭიროა ზრდილობა, თავაზიანობა,
წესიერება, რათა ნამდვილი ადამიანის სახე
ვატაროთ.

ზრდილობასთან ერთად საჭიროა წავიმ-
შრომით არის ბედნიერი, მეტადრე მაშინ,
ძღვაროთ ის დიადი შეგნება, რომ ადამიანი
როდესაც ეს შრომა შენი ქვეყნის კეთილ-
დღეობას ემსახურება.



ვარძია

სუხა ბერიძე

გზები

რაში არ მინდა,

ფეხით ვიაროთ!

თუმცა გზა გრძელია, როგორც ზღაპარი,

ფეხით ვიაროთ,

რაში არ მინდა,

სიმღერით მოვვლოთ ქართლის მთა-ბარი.

დაღლა რას ჰქვია!

წამო, ძმობილო,

ცისკარი ჰხატავს ზეცას იისფერს,

წამო, ძმობილო,

დაღლა რას ჰქვია,

ნელინელ ჩავჰყვეთ გზას ვარძიისკენ.

ამგვარმა მომართვამ ჩვენ კიდევ უფრო
აღგვაფრთოვანა. „ჩვენი წარსულის ისტო-
რია გულმოდგინედ, ზედმიწევნით უნდა
შევისწავლოთ და თანამედროვე ცხოვრება
დელის რძესავით შევიტყბოთ და შევი-
სისხლხორცოთ“... ასეთი გადაწყვეტილება
ჭიაკოკონასავით დაენთო ჩვენს გულში,
როდესაც ვარძიას მივუახლოვდით.

კედელივით აღმართული კლდეთა ქარა-
ფები, დაჭკრეთილი შუაგულით და წვიმისა
და ნიაღვრისაგან ჩახრამული ზედაპირით,
შორიდანვე მომაჯადოებლად გამოიყურე-
ბოდა.

ჩვენმა ხელმძღვანელმა შორეული ბილი-
კით მალე გზას დაგვაყენა და აღმოსავლეთ
ბილიკიდან დასავლეთისკენ ვიწრო გვირა-
ბის კიბესთან მიგვიყვანა. ციხე-სიმაგრეს
რომ მივუახლოვდით, ჩვენი ხელმძღვანელი
მცირე განმარტებას ასე მოჰყვა: „ეს ციხე-
ქალაქი თამარ მეფის ერთ-ერთი საყვარელი
საჯდომ-სამყოფელი იყო იმ დროს, როცა
მესხეთი და მთლად საქართველო ძლიერ
სახელმწიფოს წარმოადგენდა. ეს კლდე-ქა-
ლაქი თავისი უამრავი გვირაბით, ფართული
წყალსადენით და შვიდ სართულად განლა-
გებული ნაგებობებით, ისეთი ძვირფასი ნაშ-
თია, სადაც საქართველოს წარსულს მთელი
სიღრმით შეიგრძნობს ადამიანი“.

ისტორიკოსების გადმოცემით, ვარძიის
დარბაზები და ტაძრები მეტად მდიდრულად



ყოფილა მოწყობილი და ველურ მტერთა მიერ მრავალჯერ გაძარცვულა. XVI საუკუნეში საქართველოს დაუძინებელ მტერს შაჰ-თამაზს ვარძიის მთელი სიმიდრე გაუტაცნია, მთავარი ტაძრის ფოლადის კართან ერთად მეორე, ძვირფასი თვლებით შეჭედილი ოქროს კარიც შეუხსნია და თავის სალაროში წაუღია. ვარძიის მთავარი ტაძარი მთის შუაგულშია გამოკვეთილი. მის გარშემო მრავალი სენაკი ვნახეთ, ცოტა მოშორებით კი 13-ქვევრიანი მარანი და ეგრეთწოდებული „სალხინო“*) დავათვალიერეთ. თამარის დარბაზმა, რომლის შესანიშნავი მხატვრობა ძლიერ არის დაზიანებული, თავისი მოხაზულობითა და ფერების საუცხოო შეხამებით ყველა მოგვხიბლა.


თამარის დარბაზი, ტაძარი და მათ ახლოს განლაგებული დერეფნები, მოჩუქურთმებულითაღებიანი სარკმლებით, თლილი კედ-

*) „სალხინო“ ძველად დასასვენებელს ნიშნავდა.

ლებით ნაშენი საზეიმო შესასვლელებით, მთლად მოხატულია საეკლესიო მოდერნიზაციის სახეებით, მეფე თამარისა და გიორგი მესამის სურათებითა და ორნამენტებით.

— ჩვენი წარსული აღსავსეა გენიალური შემოქმედებით, და ჩვენ, სტალინური ეპოქის შვილებმა, მისი საამაყო ნაშთები ღირსეულად უნდა ავითვისოთ; ძველ ნერგზე ჩვენ ახალ და ჯანსაღ, ჩვენი სულის გამომხატველ შტოს დავამყნობთ და ამით ორიგინალურ, ჩვენი ცხოვრების გამომვლინებელ ქმნილებას მივიღებთ,—ასე განაგრძობდა საუბარს ჩვენი ხელმძღვანელი სადამოთი, როცა ერთ-ერთ გამოქვაბულში დიდი ცეცხლი დავანთეთ და გარშემომხსდარნი სულგანაბულნი ვუსმენდით.

ბნელოდა, გარეთ ქარი ოდნავ ქროდა, შეშინებული ღამურები თავზე დაგვფარფატებდნენ, ჩვენი ჩრდილები კლდის კედელზე უცნაურად თამაშობდნენ და წარსულის გახსენებას თითქოს უფრო აძლიერებდნენ.



ვარძია



(ლ ე ბ ე ნ დ ა)

ძველ დროში საქართველოს სამხრეთის დიდ სამთავროს—მესხეთს ათაბაგები განაგებდნენ. ამ სამთავროს ერთ-ერთ განთქმულ და ძლიერ ათაბაგს ლამაზი ქალი ჰყავდაო, მოგვიტხოვრობს ხალხური გადმოცემა. მრავალი ქვეყნიდან მოდიოდნენ წარჩინებული ჯაბუქნი მთავრის ასულის სათხოვნელად. მამა ყველას უფრთხილდებოდა. იგი ვერცერთ მსურველში ვერ პოულობდა მისთვის მოსაწონ თვისებებს.

ერთხელ უბრალო მწყემსი მივიდა თურმე ათაბაგის სასახლესთან—დიდი მპყრობლის ასული უნდა ვითხოვო. კარისკაცებმა არ შეუშვეს და ცემით გააგდეს. იმ დღიდან მწყემსი სასახლის არემარეს აღარ შორდებოდა. დღეებს აღამებდა და ღამეებს იქვე ათენებდა.

მოსწყინდათ კარისკაცებს აბეზარ მწყემსთან ძალადობა და ათაბაგს მოახსენეს მისი ამბავი. მთავარი ცნობისმოყვარეობამ დასძლია და მწყემსი დაიბარა. კითხვაზე, თუ რა სურდა მას, ვაჟმა თამამად უპასუხა: შენი ქალი ცოლად მინდა შევიერთო. ათაბაგი არ განრისხებულა. ერთ ხანს ჩაფიქრდა და უპასუხა: კარგი, მე მოგცემ ჩემს ქალს, თუკი შენ ერთ პირობას შემისრულებო. მან გამოიყვანა მწყემსი სასახლის აივანზე, დაანახა ქალაქის პირდაპირ წამომდგარი მთა და უთხრა: აი, ხომ ხედავ ამ მთას, მის გადაღმა ფერდობიდან მარტომ წყალი უნდა გამოიყვანო და ქალაქში წყარო აღინო. მწყემსს რა ეთქმოდა? იკისრა ძნელი დავალების შესრულება და დატოვა სასახლე.

ასე გაისტუმრა ქვეყნის ძლიერმა მპყრობელმა თავმომწონე, მაგრამ მისთვის უტიფარი ჯაბუქი მწყემსი. მან პირდაპირი უფრთხი ვაჟკაცის თავმოყვარეობის შებღალვა არ მოისურვა, დარწმუნებული კი იყო,

რომ ვაჟი ამ საქნელო საქმეს ვერ შეასრულებდა და მისთვის შეუფერებელ განზრახვასაც გულიდან ამოიღებდა.

გავიდა ორი წელიწადი. მწყემსის ამბავი მიავიწყდათ, მაგრამ თვითონ მწყემსს კი არ დავიწყებია თურმე ნაკისრი პირობა. ის გულმოდგინედ თხრიდა არხს წყლის გასაყვანად. აი, უკვე ქალაქსაც მოაღწია და დაიწყო მიღების ჩაწყობა. როცა ათაბაგს მოახსენეს მწყემსის გმირობა, იგი სავონებელში ჩავარდა, თუმცა დიდად მოეწონა ვაჟის სულგრძელობა და შრომითი თავდადება. ბოლოს უბრძანა ხელქვეითებს—წაეღოთ ბლომად ოქრო და ღამე საიდუმლოდ ჩაეყარათ მიღებში.

მეორე დღეს ათაბაგმა დაიბარა მწყემსი, შეაქო მისი მხნეობა და დაავალა: წყაროდან ნადენი წყლით პირველი ჭურჭელი შენ უნდა აავსო.

მწყემსმა წყალი ახალ სადინარში მიუშვა და ჭურჭლით ხელში წყაროსთან გაჩერდა.

წყალმა გადმოჩქევა, მაგრამ დახეთ ვაჟის განცვიფრებას! პირველ წყალს ოქროები მოჰყვა და წკრიალით ჩაეშვა მის ჭურჭელში.

— ბიჭოს, ოქრომ იდინა!—აღმოხდა ვაჟს გაკვირვებისა და სიხარულისაგან.

გამდიდრებული მწყემსი ეახლა მთავარს, რათა, თანახმად პირობისა, ცოლად შეერთო მისი ასული, ხოლო წყაროს ოქრომიდინა დაერქვა.

ხალხი დღესაც მიუთითებს ოქრომიდინას წყაროს. იგი ქალაქ ახალციხის ერთ-ერთ უძველეს უბანშია მარდის მთის ძირში. ამ ოცდაათიოდე წლის წინათ კიდევ ჩქეფდა ოქრომიდინას წყაროდან მთის ანკარა წყალი.

ილია მაისურაძე

იოსებ ღვინთაშვილი



„დაზგაზე რანდით ჰლამობდი მრუდე ხის გასწორებასა“—ეს სიტყვები მოიყვანა იოსებ დავითაშვილის გარდაცვალების გამო თავის სიტყვაში დიდმა ილიამ. „ეს აზრები, — წერდა პოეტის შესახებ ილია, —ეს გრძნობა, ეს სიტყვა, ქარით მობერილი არ არის. ეს მარგალიტები იმ ზღვიდან არის ამოღებული, რომელსაც ერის გულს ეძახიან. აქ არაფერია ნათხოვარი, არაფერია განგებ ჩაძახილი და მერე ამოძახილი. აქ თავის დიდებას, თავის დიდ-ბუნებოვანობას, სულგრძელობას თითონ ერი მეტყველობს, თითონ ერი ჰლადადებს თავისი ქეშმარიტი შვილის ბავითა!“

მშრომელთა წრიდან გამოსული პოეტი იოსებ დავითაშვილი ამიტომ უყვარს ქართველ მკითხველს.

იგი დაიბადა სოფელ რუისში 1852 წელს. ყმაწვილი ადრე დაობდა. როცა წამოიზარდა, იოსებს თავისმა დამ მელანიამ შესწავლა წერა-კითხვა „ხარის ბეჭზე ქვაბის მურის მონალესით“, რასაც თვით გადმოგვცემს პოეტი ერთ-ერთ თავის ლექსში. მაგრამ მას ქალაქი იზიდავდა, სწავლაზე ოცნებობდა, ეს სურვილი იტაცებდა.

„ნეტავი აქ არ მამყოფა,
ქალაქში ჩამიყვანაო;
მასწავლა რამე ხელობა,
მასწავლა ანაბანაო“.

პოეტს გულს უკლავდა სოციალური ჩაგვრა, მდიდარი რომ ღარიბს სტანჯავდა:

„მე გულსა მწვავს ეს სოფელი,
ორნაირად გაყოფილი,
ბედით ჩავრთულს უღვთოდ სტანჯავს
თავის ბედით კმაყოფილი“.

ამიტომ მოუწოდებდა პოეტი ბედის წყაროს:

„რამ დაგაშრო, შე თხერო,
ღარიბების ბედის წყარო,
ამოდუღდი, რომ ქვეყანა
ერთნაირად გაახარო!“

განსაკუთრებით მრავალი კარგი ლექსი შესძინა პოეტმა ქართულ საბავშვო ლიტერატურას. ასეთებია: „საჩუქარი“, „ლაღა“, რომლებშიაც პოეტი ბავშვს წიგნის სიყვარულს უნერგავს. ლექსში „ია“ გადმოცემულია გაზაფხულის სურათი, როცა თვალს გაახელს ბუჩქის ძირის დამამშვენებელი პაწია ია. ლექსები „გიშერა“, „თოლია“, „მამალი“ გადმოგვცემს მოზარდის სიყვარულს შინაური ცხოველებისა და ფრინველებისადმი. ასეთივე საინტერესოა პოეტის სხვა საბავშვო ლექსები: „ჩილიკაობა“, „სურათი მწყემსის ცხოვრებიდან“, „ზამთარი“ და სხვა. მაგრამ ყველაზე პოპულარულია



ლექსი „ჯეჯილი“. ძველ ქართულ საბავშვო ჟურნალ „ჯეჯილს“ ათეული წლების მანძილზე წამძღვარებული ჰქონდა ეპიგრაფად ამ ლექსიდან შემდეგი სტრიქონები:

„ოზარდე, მწვანე ჯეჯილო,
დაბურდი, გახდი ყანაო“.

იგია ბარაქა მარჯვენაკურთხეული გლეხის, რომელმაც სიყვარულით დათესა და ოფლით და გარჯით მოიყვანა. პოეტმა შესანიშნავად ასახა გლეხის სიყვარული შრომისადმი. აი, როგორი სინაზით მიმართავს იგი თავის მანუგეშებელ ყანას:

„დაბურდი, ჩემო ნუგეშო,
იზარდე თანდათანაო;
ზეცამ გიგზავნოს ცვარ-ნამი,
მწემ შუქი გფინოს თანაო;
ქარმა გაღელვოს ზღვასავით,
მწყერმა მოგძახოს ნანაო,
ოზარდე, გაახარევი
ყმაწვილი ჩემისთანაო“.

თქვენ გზიბლავთ სოფლად შრომის სურათები, ლამაზად გადმოცემული პოეტის მიერ. აგერ ბებერ კაკლებთან ჯერს ამზადებს თინათინ ქალი, ხოლო პატარა სოსო, ხელადით წყალს ეზიდება წყაროდან.


თავის ლექსებში იოსებ დავითაშვილი უმთავრესად მშრომელი ხალხის ცხოვრებას ხატავდა, მის დაუსრულებელ ტანჯვას ძველ დროში. მაგრამ მას სწამდა ხალხის ბრწყინვალე მომავალი.

პოეტისადმი წარმოთქმულ სიტყვაში აკაკი წერეთელი აღნიშნავდა ი. დავითაშვილის სახალხო ღვაწლსა და ამავეს. მან თქვა:

„განსვენებული იმით იყო შესანიშნავი უფრო, რომ თავის პირადობაზე იმდენად არ ფიქრობდა, რამდენადაც საზოგადოებაზე. მისი გრძნობაც იმაზე ჰქონდა მიპყრობილი, რომ მოძმეების კეთილდღეობას მოსწრებოდა, მათი წარმატება ენახა“.

ი. დავითაშვილი გარდაიცვალა 1887 წელს, მარტში, —60 წლის წინათ.
ღვინთაშვილი

პეტრე მელიქიშვილი



იყო ზარბაზნის ვასროლის დროს — დღის 12 საათზე. ზარბაზნის ისროდნენ ქაშვეთის ეკლესიის მახლობლად, სადაც ახლა ყოფილი ალექსანდრეს ბაღია. იმ დროს, როცა პეტრე სწავლობდა, იქ, ქვემოთ, ნაგვის საყრელი ადგილი იყო, უფროთ კი — სასაფლაო. მოლა რახიძე ამ ადგილებში დადიოდა და როცა ზარბაზნის გაისროდნენ, გიძნახიში გარბოდა გაყვეთილზე.

გიძნახიის დამთავრების შემდეგ პ. მელიქიშვილი პეტერბურგს აპირებდა გამგზავრებას, მაგრამ პეტერბურგის ჰავა შეუფერებელი იყო მისი ჯანმრთელობისათვის და ის იძულებული გახდა შესულიყო ოდესის უნივერსიტეტში. აქ პ. მელიქიშვილი შეხვდა უკანასკნელი კურსის სტუდენტს — მოძავალ გამოჩენილ მეცნიერ ქიმიკოსსა და მოღვაწეს ვასილ პეტრიაშვილს.

1873 წელს პ. მელიქიშვილი მივლინებულ იქნა გერმანიაში, ჯერ ტიუბინგენში, შემდეგ კი კარლსრუემი.

1875 წელს პ. მელიქიშვილი დაბრუნდა ოდესაში და ქიმიური ლაბორატორიის ლაბორანტის თანამდებობა დაიკავა. ამ დროიდან დაიწყო მისი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობა.


1880 წელს პეტრე მელიქიშვილი ბრწყინვალედ იცავს სამაგისტრო დისერტაციას და ორი წლის შემდეგ კვლავ იგზავნება საზღვარგარეთ სამეცნიერო მივლინებაში.

1885 წელს პ. მელიქიშვილი იცავს სადოქტორო დისერტაციას. მისი ვრცელი გამოკვლევა „იზომერული კროტონმჟავების შესახებ“ დიდი მეცნიერული მნიშვნელობის ნაშრომად იქნა მიჩნეული.

განსაკუთრებით დიდი ინტერესი გამოიწვია პ. მელიქიშვილის მიერ პირველად მიღებულმა გლიციდმჟავებმა და მათმა ერთ-ერთმა ნაწარმმა, რომელსაც პ. მელიქიშვილმა იზოსერინი უწოდა, რითაც მას უნდოდა ხაზი გაესვა მისი იზომერული ხასიათისათვის. იზომერები ეწოდება ნივთიერებებს, რომლებსაც ერთნაირი შემადგენლობა, მაგრამ სხვადასხვა ქიმიური და ფიზიკური თვისებები აქვთ, რადგან მათი მოლეკულები სხვადასხვანაირადაა აგებული. შემადგენლობით იზოსერინის მსგავსი ნაერთი მიღებულ იქნა 1865 წელს და მას სერინი უწოდეს. იზოსერინის მიღების გარშემო დიდი კამათი გაი-

დიდი ქართველი მეცნიერი პეტრე გრიგოლის-ძე მელიქიშვილი დაიბადა 1850 წლის 11 ივლისს იმ დროის კულტურულ მოწინავე ოჯახში. სტუმარმოყვარე მელიქიშვილებთან ხშირად იკრიბებოდნენ საქართველოს მოწინავე ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები — პოეტი და საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე, პოეტი აკაკი წერეთელი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე ნიკო ნიკოლაძე, გამოჩენილი მწერალი და მოღვაწე გიორგი წერეთელი და სხვ.

18 წლისამ დაამთავრა პეტრემ თბილისის გიმნაზია. იქ გატარებული წლები სამუდამოდ მწარე მოგონებად დარჩა მის მეხსიერებაში: მასწავლებელთა უმრავლესობა სრულიად უეცი და მოუშნადებელი იყო ახალი თაობის აღზრდისათვის. 1922 წელს დაწერილ ავტობიოგრაფიაში პეტრე მელიქიშვილი იგონებდა ზოგიერთ მათგანს და მჭევრმეტყველურად ავკიწერდა, თუ როგორ „ასწავლიდნენ“ ისინი. ასე, მაგალითად, რუსული ენის მასწავლებელი სიტყვას „ВОЗМОЖНЫЙ“ რბილი ნიშნით აწერინებდა: „ВОЗЬМОЖНЫЙ“ — იმ საბაბით, რომ სიტყვა „ВОЗЬМЕМ“ რბილი ნიშნით იწერება. გეოგრაფიის მასწავლებელმა შემდეგი სიტყვებით დატუქსა სომეხი მოსწავლე, რომელმაც დაიჯერა, რომ ღედამიწა მზის გარშემო ბრუნავს: „შე უვარგისო, დედამიწა რომ მართლა ასე ტრიალებდეს, თბილისი ერევანში წავიდოდა და ერევანი თბილისში მოვიდოდა“. თათრულ ენას ასწავლიდა სასულიერო პირი — მოლა რახიძე, რომელმაც საათით სარგებლობა არ იცოდა და ამიტომ მისი გაკვეთილები დანიშნული



მართა გერმანელ და ოდესელ ქიმიკოსებს შორის. ზოგიერთი გერმანელი ქიმიკოსი უარყოფდა იზოსერინის იზომერულ ხასიათს, მაგრამ როცა 17 წლის შემდეგ გამოჩენილმა გერმანელმა მეცნიერმა ემილ ფიშერმა ხელოვნური ცილას დამზადების ცდების დროს სხვა გზით მიიღო ორივე ნაერთი, ყველასათვის ცხადი გახდა, რომ გამართულ კამათში პ. მელიქიშვილი იყო მართალი.

პ. მელიქიშვილის მეცნიერული მოღვაწეობის პირველი ოცწლეული უკავია მის გამოკვლევებს ორგანული ქიმიის დარგში.

1894-1895 წლებიდან იწყება მისი კვლევითი მუშაობის მეორე ოცწლეული, რომელშიც მთავარია ზეჟანგებისა და ზემჟავების შესწავლა, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დ. ი. მენდელეევის პერიოდული კანონისათვის. ეს არის ნაერთები, რომლებშიც ზოგიერთი ელემენტი მეტ ვალენტობას იჩენდა, ვიდრე მათ უნდა ჰქონოდათ იმ ადგილის მიხედვით, რომელიც მათ პერიოდულ სისტემაში უკავიათ. ეს ეწინააღმდეგებოდა პერიოდულ კანონს, რომელსაც სწორედ იმ ხანებში, 1894 წელს, არსებობის მეოთხედი საუკუნე უსრულდებოდა.

პ. მელიქიშვილმა თავის მოწაფესთან—ლევ ვლადიმერის-ძე პისარევესკისთან ერთად ყოველმხრივ შეისწავლა ეს ნაერთები, ბევრი მათგანი პირველად მიიღო და გამოარკვია, რომ ამგვარ ნაერთებში ჟანგბადის ატომები სხვანაირად არიან შეკავშირებული, შეწყვილებული და რომ, მამასადამე, არავითარი წინააღმდეგობა პერიოდულ კანონთან აქ არ არის. ეს გამოკვლევები რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ ლომონოსოვის სახელობის დიდი პრემიით დააჯილდოვა. თვით დ. ი. მენდელეევემაც კი პირად წერილში პ. მელიქიშვილს პერიოდული კანონის „განმამტკიცებელი“ უწოდა და ეს აღნიშნა თავის დიდ შრომაში „ქიმიის საფუძვლები“.

პ. მელიქიშვილის გამოკვლევების მესამე ჯგუფი შეეხება სასოფლო-სამეურნეო საკითხებს. ამ საკითხების დამუშავებისას მასთან ერთად მუშაობდა მისი უფროსი ამხანაგი და მეგობარი ვასილ პეტრიაშვილი. მათი მიზანი იყო საქართველოს სოფლის მეურნეობის გაუმჯობესება, მისი კულტურის ამაღლება.

საერთოდ პეტრე მელიქიშვილის კალამს ეკუთვნის ასზე მეტი შრომა, რომლებიც რუსულ, ფრანგულ, გერმანულ და, ბოლო ხანებში, ქართულ გამოცემებში იბეჭდებოდა.

პეტრე მელიქიშვილი ამავე დროს შესანიშნავი აღმზრდელი იყო.

გარეგნულად პირქუში, ის არაჩვეულებრივი გულისხმიერებითა და მზრუნველობით ეკიდებოდა ახალგაზრდობას, განსაკუთრებით თუ ძეცხიერების სიყვარულს, შრომისძოყვაოეოიასა და გულმოდგინებას შეამჩნევდა, ყოველმხრივ ეხმარებოდა მას რჩევით, დაოიგებით. ის მომთხვვნე და მკაცრი იყო, განსაკუთრებით გამოცდებზე, მაგრამ სტუდენტობას არავის ჰყავდა პ. მელიქიშვილსა და ვ. პეტრიაშვილზე უფრო მგზხებარე დაიცველი ძეფის დროის ოდესის უნივერსიტეტის საბჭოში, სადაც მრავლად იყვნენ მავრაშმელები და უსულგულო ბიუროკრატები.

თითქმის ნახევარი საუკუნე გაატარა პ. მელიქიშვილმა ოდესაში. თვითმპყობებლობის დამზობის შემდეგ ის გამოემუშრა სამშობლოში. აქ პ. მელიქიშვილი ხელს ჰკიდებს უნივერსიტეტის ორგანიზაციის საქმეს, რაზეც ქართველი ხალხი დიდი ხნის განმავლობაში ოცნებობდა.

უნივერსიტეტი ოფიციალურად გაიხსნა 1918 წლის თებერვალში. მის პირველ რექტორად პეტრე მელიქიშვილი აირჩიეს. ეს იყო მაჩვეხებელი უდიდესი პატივისცემისა და ნდობისა, რომლითაც ის ქართველ ხალხში სარგებლობდა.

უდიდესი მუშაობა ჩაატარა პ. მელიქიშვილმა მეორე დიდ მეცნიერ ივანე ჯავახიშვილთან ერთად, რათა ფეხზე დაეყენებინა ახალი უმაღლესი სასწავლებელი.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით ახალი ხანა დაიწყო ქართველი ხალხისა და მისი უნივერსიტეტის ცხოვრებაში. პ. მელიქიშვილმა დაინახა, თუ როგორ ზრუნავდა საბჭოთა ხელისუფლება ხალხზე, მის სწავლავანათლებლავზე, ძეცნიერების განვითარებაზე, და აქტიურად ჩაება ახალი ცხოვრების მშენებლობაში.

1924 წელს მადლიერმა ქართველმა ხალხმა ზეიმით აღნიშნა პ. მელიქიშვილის მეცნიერული მოღვაწეობის 50 წლისთავი.

1927 წლის დასაწყისში პ. მელიქიშვილი საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის წევრად აირჩიეს. იმავე წლის 23 მარტს, ოცი წლის წინათ, ის გარდაიცვალა.

მთავრობის დადგენილებით პ. მელიქიშვილი დაკრძალულია სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში. გამოჩენილი მოქანდაკის იაკობ ნიკოლაძის მიერ გამოკვეთილი მისი ძეგლი გაჰყურებს მშობლიურ უნივერსიტეტს, რომელსაც პეტრემ შესწირა თავისი ცხოვრების უკანასკნელი 10 წელი.

ბავშვების ცხოვრება სსრკ-ში



უფლებო ბავშვები

ზანგი შავკანიანია. ამის გამო იგი ამერიკაში მოკლებულია მთელ რიგ ადამიანურ უფლებებს. ზანგს არა აქვს უფლება, მაგალითად, ჩაჯდეს ტრამვაის იმ ვაგონში, რომელშიც თეთრკანიანი ამერიკელი ჯდება. ზანგი ვერ შევა იმ თეატრში, რესტორანში, ბაღში და სხვ., სადაც თეთრკანიანი ამერიკელი დადის. ამერიკის სამხრეთ შტატებში არის შემთხვევები, როდესაც ზანგს თავს დაესხმის თეთრკანიანთა ბრბო და გაუსწორდება მას ეგრეთწოდებული „ლინჩის წესით“, რაც იმას ნიშნავს, რომ ზანგს მოჭლავენ ყოველგვარი გასამართლების გარეშე.

საშინელ მდგომარეობაში არიან ზანგი ბავშვებიც.

მათ უფლება არა აქვთ კინოში დასხდნენ თეთრკანიანი ამხანაგების გვერდით, უფლება არა აქვთ საცურაო აბაზანში მათთან ერთად იცურაონ, მათ არ უშვებენ საბავშვო მოედნებზე, საზაფხულო ბანაკებში და სხვ. თეთრკანიანი ექიმი არცთუ ისე იოლად დათანხმდება ავადმყოფ ზანგ ბავშვთან მივიდეს და უმკურნალოს.

ამერიკის შეერთებულ შტატებში 48 შტატია და ერთი ოლქი—კოლუმბია (ამ ოლქში მდებარეობს ა. შ. შტატების დედაქალაქი ვაშინგტონი). 17 შტატსა და კოლუმბიაში კანონით აკრძალულია შავკანიანი და თეთრკანიანი ბავშვების ერთად აღზრდა. დანარჩენ შტატებში ასეთი კანონი არ არის, მაგრამ იქაც პატარა ზანგებს იშვიათად თუ მიიღებენ იმ

სკოლაში, სადაც თეთრკანიანი ბავშვები სწავლობენ. ზანგი ბავშვების უმრავლესობა კი სრულებითაც არ სწავლობს.

ამერიკის შეერთებულ შტატებში 140 მილიონი მოსახლეა. აქედან 12 მილიონი ზანგია. და აი ამ მილიონობით ადამიანებს თითქმის არავითარი უფლება არ გააჩნიათ ამ ქვეყანაში.

რასაკვირველია, ყველა ამერიკელი არ არის ასე უმსგავსოდ განწყობილი ზანგების მიმართ. ამერიკაში არიან ადამიანები, რომელთაც კარგად ესმით, თუ რა საძაგლობაა დაჩაგრო და სდევნო ადამიანი მხოლოდ იმიტომ, რომ მას შავი კანი აქვს.

შავკანიანებისადმი ასეთი მოპყრობა ხელსაყრელია კაპიტალისტებისათვის. მათთვის გამოსადეგია თეთრკანიანი მტრულად იყოს განწყობილი შავკანიანისადმი. კაპიტალისტები ქადაგებენ—ზანგები დაბალ რასას შეადგენენ და ამიტომ მათ არ უეძღება ჰქონდეთ ისეთივე უფლებები, როგორც თეთრკანიანებსო, რომლებიც თითქოს მაღალ რასას ეკუთვნიან.

ამერიკელი მოწინავე მუშები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა შეამსუბუქონ ზანგების ასეთი არაადამიანური მდგომარეობა.

ქვემოთ ვბეჭდავთ ლანგსტონ ჰუჯის პატარა მოთხრობას „სკოლა“, რომელშიც მოცემულია მოსწავლე ზანგი ბავშვების ცხოვრების რამდენიმე ეპიზოდი.





სკოლა

— სანდი, დაიბანე პირი და შენი საუკეთესო ხალათი და ახალი ფეხსაცმელები ჩაიცვი,—უთხრა სანდის დედამ.—შენ წელს თეთრი მასწავლებლები გეყოლება. მათ არ უნდა იფიქრონ, რომ მე სკოლაში ჭუჭყიანს გიშვებ. გაიგონე, რაც ვითხარი?

— დიახ, გავიგონე,—უპასუხა სანდი.

იმ დღით სანდი უნდა შესულიყო მეხუთე, „თეთრ“ კლასში. მარჯან ის იყო მეოთხე, „ფერად“ კლასში, მაგრამ ეს ყველაფერი წარსულში იყო. სტონტონში*) ზანგი ბავშვები მეხუთე კლასამდე ცალკე სკოლაში სწავლობენ. ზანგი მასწავლებლების ხელმძღვანელობით, ამის შემდეგ იწყებენ სწავლას სხვა ბავშვებთან ერთად და მათი მასწავლებლები თეთრები არიან. როდესაც სანდი სკოლაში მივიდა, მთელი ეზო სავსე იყო ახმაურებული ბავშვებით. გოგონებს შორის მან დაინახა ვილი-მეი, ბი-



— თქვენ, სამმა ფერადმა ბავშვმა დაიკავეთ ადგილები ალბერტ ცვიკის უკან.

ჭებს შორის კი იყო მისი რამდენიმე ამხანაგი—ერლი და სხვები.

მალე ზარი დაირეკა და ისინი ყველანი შევიდნენ სკოლის შენობაში. შესასვლელში

იღვა ქალბატონი მინტერი—სკოლის დირექტორი. ყველა კარზე იყო ფირფიტა, კლასის ნომრის აღნიშვნით. მეორე სართულზე იბოვა სანდიმ თავისი მეხუთე კლასი. ოთახი უკვე სავსე იყო გოგონებითა და ბიჭვებით. ისინი ყველანი ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ და საუბრობდნენ. მათ შორის იყო ორი ფერადი გოგო. ფერადი ბიჭები კი არ იყვნენ. მალე მასწავლებელიც შემოვიდა.

— ბავშვებო, ყველანი დასხედით,—თქვა მან.—დასხედით როგორც გინდათ, მე შემდეგ გადავსვ-გადმოვსვამთ.

ბავშვები დასხდნენ—გოგონების უმრავლესობა წინა მერხებზე, ბიჭები კი—უკან. ესენი ფიქრობდნენ, რომ მასწავლებელი მათ იქ კარგად ვერ დაინახავდა და იქ შესძლებდნენ ეთამაშათ ღომინო და ეცქირნათ ფანჯარებში.

მასწავლებელმა ყოველ მათგანს მისცა ქალაქის ნაჭერი.

— ბავშვებო, დაწერეთ ქალაქლებზე თქვენი გვარი,—თქვა მან.—მხოლოდ გვარი. სულ ესაა, რაც მე დღეს მინდა. შემდეგ კი გეტყვით, სად უნდა დაჯდეს თითოეული თქვენგანი.


ბავშვებმა დაწერეს თავისი გვარი და ქალაქები მასწავლებელს გადასცეს. მასწავლებელი მივიდა თავის მაგიდასთან, დაჯდა და გვარები ანბანის მიხედვით დაალაგა.

— ახლა,—თქვა მასწავლებელმა,—ყველანი წადით და კედელთან დადეთ. მე ამოვიკითხავ თქვენს გვარებს და გამოძახების მიხედვით დასხედით რიგრიგობით პირველ რიგში ფანჯარასთან.

მასწავლებელი კითხულობდა გვარებს და თითოეული ბავშვი იკავებდა ადგილს. როდესაც მხოლოდ ოთხი ბავშვი დარჩა, ორი ფერადი გოგო და სანდი ისევ იდგნენ.

— ალბერტ ცვიკი,—ამოიკითხა მასწავლებელმა და უკანასკნელმა თეთრკანიანმა ბიჭმა დაიკავა თავისი ადგილი.

* სტონტონი — ქალაქი ვირჯინიის შტატში.



უცებ მხარზე ვიგრძენი მძიმე ხელი

— თქვენ, სამმა ფერადმა ბავშვმა, — თქვა მასწავლებელმა, — დაიკავეთ ადგილები ალბერტ ცვიკის უკან. თქვენ, გოგოებო, დაიკავეთ პირველი ორი ადგილი, თქვენ კი, — შეხედა სანდის, — უკანასკნელი. ახლა მე დავწერ დაფაზე წიგნების სიას, რომელნიც თქვენ უნდა იყიდოთ. თქვენ ყველამ უნდა გადაწეროთ უშეცდომოდ.

მან დაიწყო წიგნების სიის წერა დაფაზე.

ერთმა ფერადმა გოგონამ უთხრა სანდის: — მან ჩვენ იმიტომ დაგვსვა უკანასკნელ რიგში, რომ ჩვენ ზანგები ვართ. ჩემი გვარია ანჟი ბუტლერ. მან კი ცვიკის უკან დამსვა, რადგან მე ზანგი ვარ.

— მე ყველაფერს ვუამბობ დედას, — თქვა მეორე ფერადმა გოგომ ბრაზმორევით. სანდის არაფერი უთქვამს, მხოლოდ გრძნობდა, რომ უნდოდა ეტირა. როდესაც

შინ დაბრუნდა და შინაურებს ყველაფერი უამბო, მისმა ბიძაშვილმა ჰანრიეტამ უთხრა: — ასევეა საშუალო სკოლაში, სანდის შემძლია ვიძღურო და ვიცეკვო ჩემს ამხანაგებთან ერთად. თეთრკანიან გოგონებს ვუყვარვარ, მაგრამ როდესაც გაკვეთილების დამთავრების ზარი დაირეკება და შინ წასვლის დროა, ისინი ყოველთვის კლასში მემშვიდობებიან, რადგანაც არ უნდათ ქუჩაში ფერად ქალიშვილთან გავლა. როდესაც ისინი პატარა გოგონები იყვნენ, ხშირად დადიოდნენ ქუჩაში ჩემთან ერთად და არც ფიქრობდნენ ამაზე, მაგრამ ახლა...

შემდეგ მან უამბო სანდის ასეთი ამბავი:

— რამდენიმე დღის წინათ ჩვენმა სკოლამ მიიღო კინოს უფასო ბილეთები. მე წავიდი ჩემ კლასელებთან ერთად კინო „პალასში“, მაინის ქუჩაზე. ეს არის სპეციალური კინო სკოლის ბავშვებისათვის და ყველა კლასის ბავშვები ერთად სხდებიან. რა თქმა უნდა, მეც მიწოდდა დავმჯდარიყავი ჩემ კლასელებთან ერთად. უცებ მხარზე ვიგრძენი მძიმე ხელი. მე მოვიხედე. ეს იყო მამაკაცი. მას ფორმის ტანსაცმელი ეცვა.

— უკანასკნელი სამი რიგი მარცხნივ არის ფერადი ხალხისათვის, — თქვა მან.

— მაგრამ მე ჩემ კლასელებთან ვარ, — ეუთხარი მე. — ჩვენ ბილეთები სკოლაში მოგვცეს. ჩვენ ყველანი ერთად ვზივართ.

— არა, — თქვა კაცმა, — თქვენ უნდა წახვიდეთ უკანასკნელ რიგში. ეს ჩვენი წესია.

— ეს ყველაფერი მასწავლებელს არ დაუნახავს? — იკითხა სანდიმ.

— ო, რა თქმა უნდა, — თქვა ჰანრიეტამ, — მან ყველაფერი კარგად დაინახა, მაგრამ არაფერი თქვა. მათი უმრავლესობა ასეთე-ბია.

ინგლისურიდან თარგმნა
თინა გელჟაქმა





ПИОНЕРИ

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ДЕТСКИЙ ЖУРНАЛ
ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА ЛКСМ
ГРУЗИИ

(на грузинском языке)

1947 год

Издательство
„Комунисти“

№ 3

Год издания 21-й

МАРТ

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

(შედგენილი ალ. საჩინოელის მიერ)

1.

მომღერალი ჩიტუნა,
ლამაზი და უწყინარი,
უყვარს ტურფა გაზაფხული,
ბალნარი და ყვავილნარი.

იგი ტკბილი მგოსანივით
ნაზად უმღერს ვარდ-ყვავილეებს
და მისი ხმა ველ-მინდორზე
სიამეს ჰგერის შრომის შვილებს.

2.

ნაზი არის და ჭრელფრთება —
ვარდ-ყვავილებს თავს ევლება

3.

ტკბილხმიანი საკრავია,
არც კორა აქვს, არ სიმები,
მთაში მეცხვარე მას უკრავს
და ბარად — მწყემსი ბიჭები.

4.

ზღვაზე მარდად მიმოცურავს
და არ რჩება მისი კვალი,
კაცი მიჰყავს, ტვირთი მიაქვს,
თუმცა არ არის ცოცხალი.

შ ი ნ ე ა რ ს ი

გიორგი შატბერაშვილი—ცხრა	გვ.
დედა (ლექსი)	გარეკანის მე-2 გვ.
მურმან ლებანიძე—სკოლა, ხეხილში	
ჩამდგარი (ლექსი)	1
მიხეილ კეკელიძე — ამანათი (მოთხრობა)	2
კლიმენტი გოგიავა—შვილი (მოთხრობა)	5
გ. ზარდალიშვილი — საქართველო მე-	
ოთხე ხუთწუღელში (ნარკვევი)	8
ღირსშესანიშნავი თარიღები	13
ვალენტინ კატაევი — პოლკის შვილი	
(პიესა, დასასრულო)	15
ანდრო თევზაძე — ია (ლექსი)	18
კ. ჯავრიშვილი — იცნობ შენს რაიონს?	
(შეისწავლე სამშობლო მხარე)	19
ანა ხახუტაშვილი (ცქვიტი)—ნორჩი მოგ-	
ზაურის დღიურიდან (მოთხრობა)	22
ხუტა ბერუღავა — გზაზე (ლექსი)	23
ილია მახურაძე — ოქრომიდინა (ლე-	
გენდა)	25
დავით შამათავა — იოსებ დავითაშვი-	
ლი (წერილი)	26
ევგენი წულაძე — პეტრე მელიქიშვილი	
(ქართველი მეცნიერები)	27
უფუღებო ბავშვები (ბავშვების ცხოვ-	
რება უცხოეთში)	29
ლანგსტონ ჰუჯი — სკოლა (მოთხრობა)	30
გამოცანები	32
ტ. თოდრაძე — წიწილების ფაბრიკა	
(ნორჩი ბუნებისმეტყველის კუთხე)	
გარეკანის მე-3 გვ.	
გასართობი	გარეკანის მე-4 გვ.
გარეკანზე „თბილისის აგრობიოლოგიუ-	
რი სადგურის ნორჩ მემტრედეთა წრის	
წევრი მოსწავლე რ. კობლაძე საფოს-	
ტო მტრედით“—ფოტო რ. აკოფოვისა.	

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები ავტო-
რებს არ უბრუნდებათ.

რედაქციის მისამართი:

თბილისი, ლენინის ქ. № 28
ტელ. № 3—81—85.

სარედაქციო კოლეგია: ი. აბაშიძე, აკად. ნ. ბერძენიშვილი,
შ. გვინჩიძე (პ/მგ. რედაქტორის მაგიერ), ვ. ვარდიანიშვილი, პროფ. გ. თავაძე,
ს. კეცხოველი, პ. მეტრეველი, ნ. ნაკაშიძე.

უფ. 01640. ტირაჟი 7000, გამოც. № 23, სტამბის შეკვეთა № 366, ბერიას სახელობის კომბინატი „კომუნისტი“,
ლენინის ქ. № 28. უზრუნველყოფილია დაბეჭდილია კომბინატ „კომუნისტის“ სტამბაში.



ჩიჩილოების ფაბრიკა

ერთხელ დედამ პატარა ლალის თოვლივით თეთრი სამი წიწილა მოუყვანა. დედის საჩუქარმა ბავშვი ძლიერ გაახარა: ეფერებოდა, ეაღერებოდა, სითბოს, საკვებსა და წყალს არ აკლებდა. დედის რჩევა-დარიგებით წიწილებს პირველ დღეებში ოთახში უვლიდა, მერე დერეფანში გაიყვანა, შემდეგ კი ეზოში მიუჩინა ადგილი.

კვებავდა დაღერდილი სიმინდით, ხორბლით, ქერით, შვრიით. აძლევდა ფეტვს, ღომის მარცვალს, ცომს; ზოგჯერ რძეს და მაწონსაც. უყრიდა სილას, ქვიშას, კირს, ნახშირს, ბალახს.

კარგი მოვლით წიწილები მალე წამოიზარდნენ. საჭმელს ადამიანის დაუხმარებლადაც პოულობდნენ: სანაგვეზე ნაგავს ქექავდნენ, ბოსტანსა და ბაღში პეპლებს, ჭივებსა და მატლებს იჭერდნენ და ყლაპავდნენ. მიწას ფეხით და ნისკარტით ჩიჩქნიდნენ, თხრიდნენ...

პატარა ლალის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა...

— დედი!—მიმართა მან ერთხელ თავის დედას,—საიდან მოიყვანე ეს წიწილები? კიდევ არ მოგვცემენ? წიწილებს დედა არა ჰყავთ?! კრუხი რატომ არ წამოიყვანე?!

ლალის სურდა თავისი პაწიების შესახებ ყველაფერი დაწვრილებით გაეგო.

დედამ თხოვნა შეუსრულა. უამბო, რომ ეს წიწილები კრუხის გამოჩეკილი არ არის, არამედ ინკუბატორშია გამოყვანილი. ინკუბატორი ყუთისებური მოყვანილობისაა და კრუხის მაგვირობას ასრულებს. აიბება ნათურების საშუალებით. გათბობა

შეიძლება აგრეთვე ნახშირით, ელექტრობით.

ინკუბატორს აქვს თერმომეტრი, სითბოსიცივის საზომი, რომლითაც თვალყურს ადევნებენ, რომ შიგნით, კვერცხებთან, ისეთი სითბო იყოს, როგორც კრუხს აქვს. ინკუბატორი სხვადასხვაგვარია, მაგალითად: „უკრაინული გივანტი“, „კომუნარი“, „ჯემსვეი“ და სხვ.

ინკუბატორები ზოგი მეტ კვერცხს იტევს, ზოგი ნაკლებს. სახელდობრ, „კომუნარი“ ერთდროულად 16.000 კვერცხს იტევს, „სპარტაკი“—12.300-დან 49.280-მდე, ხოლო „უკრაინული გივანტი“—52.000 ცალს, თითოეული კრუხი კი ერთ დასმაზე 12-20 წიწილაზე მეტს ვერ გამოჩეკს.

ინკუბატორი ხელს უწყობს იმას, რომ კრუხი არ მოცდეს, დედალი განუწყვეტლივ დებდეს კვერცხს. ინკუბატორში შეიძლება როგორც ქათმის, ისე იხვის, ბატისა და ინდაურის კვერცხის გამოჩეკა.

ჩვენს სამშობლოში, საბჭოთა კავშირში, მრავალი საინკუბატორო სადგურია. თითოეულ სადგურს აქვს რამდენიმე ინკუბატორი. ისინი განუწყვეტლივ მოქმედებენ: გაზაფხულზე, ზაფხულში, შემოდგომასა და ზამთარშიც. ყოველწლიურად ასეული ათასობით წიწილას ჩეკენ და ხელს უწყობენ მეფრინველეობის განვითარებას. საინკუბატორო სადგური თბილისშიც არის...



დედის საუბარმა პატარა ლალი ძლიერ დააინტერესა. მან სთხოვა დედას ეჩვენებინა მისთვის საინკუბატორო სადგური.

ტ. თოდუაძე





მანქანი თვალისათვის



რა სფერია აბ?

დახედეთ ამ ნახაზებს და სინჯეთ თვალზომით გამოარკვიოთ:

ნახაზზე (1) რომელი წარწერაა უფრო გრძელი — ზედა თუ ქვედა?

ნახაზზე (2) რას წარმოქმნიან შავი რომბები—კვადრატს თუ სწორკუთხედს?

ნახაზზე (3) ერთისა და იმავე ზომისა ნაკვთები, თუ ერთი მათგანი უფრო ფართოა, მეორე კი უფრო მაღალი?

ნახაზზე (4) რა უფრო მაღალია—წისკვილი თუ ყვავილი?

ნახაზის ცენტრში რომელი მატარებელი უფრო გრძელია და რა უფრო დაბალია—სემაფორი თუ პატარა ბოძი წინა პლანზე?

კარგად ჩაუკვირდით, არ აჩქარდით, თორემ თვალმომგატყუებთ. თქვენი დასკვნები ცირკულით შეამოწმეთ.